# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 13 ნოემბერი, 2007 წელი.

№ 217 (5818)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




4

## ჩვენისთანა ბედნიერი ერის ზღაპარი, ანუ ჭირი აქა, ლხინი იქა?!.




## თავისტკივილიანი კითხვები

## შერშე ლა ფამ

5

## ეჰ, ნიკოლოზა, ნიკოლოზა!..

6

რატომ იყვნენ რევოლუციამდელი მეფეები სუსტები, თავიანთი უნდილობით სისხლისღვრის გამომწვევნი და რითი სჯობს ფარშავანგს გუგული და მამალი

## დემოკრატიის ბეჭდაუდებელი ფალავანი

3

საააკაშვილმა ოპონენტები „დუელში" გამოიწვია



## ანი დამიჭირეთ, დამხვრიტეთ და ჩემი სისხლიც დალიეთ, თუ გინდათ!

5

## გადავწყვიტე, მონაწილეობა მივიღო საპრეზიდენტო არჩევნებში

3

ბადრი პატარკაციშვილის განცხადება



# მზასაყართან

● როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, საქართველომ უკვე გაიარა ის პერიოდი, როცა ყველაფერი მოიშალა და ქვეყანას უკონტროლობა ეუფლებოდა. ამიტომაც, ამის აღსაკვეთად სახელმწიფო იყენებდა, იყენებს და გამოიყენებს ყოველთვის იმ აუცილებელ საშუალებებს, რომლებიც მას გააჩნია



## ◎ პერსპექტივა

# საგანგებო მდგომარეობა მოიხსნება მაშინ, როცა ჩვენ ჩავთვლით საჭიროდ და არა, როცა ვინმე გვეტყვის

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 10 ნოემბერს ქართველ ბიზნესმენებს შეხვდა**

საქართველოს პრეზიდენტი ქართველ ბიზნესმენებს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ შეხვდა. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოში ინფრასტრუქტურის განვითარება, პენსიებისა და ხელფასების ზრდა, სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობა საქართველოს ბიზნესისაგან მოდის. მისი თქმით, თუ ვინმეს საქართველოს სტაბილურობასა და შემდგომ კეთილდღეობაში პირადი ინტერესი გააჩნია, ბევრ პოლიტიკოსზე მეტად, ეს ქართული ბიზნესის დამსახურებაა.

საქართველოს პრეზიდენტმა ბიზნესმენების ჯგუფთან ოთხი წლის წინათ გამართული შეხვედრა გაიხსენა და აღნიშნა, რომ დღევანდელ შეხვედრას უმეტესად სხვა ხალხი ესწრება - ისინი, ვინც საუკეთესონი აღმოჩნდნენ და მარტივად აუღეს ალღო ცვლილებებსა და კონკურენტუნარიან გარემოს. საქართველოს პრეზიდენტის თქმით, საქართველოში ადამიანების დაფასება დამსახურების მიხედვით ხდება, მიუხედავად მისი წარსულისა და ურთიერთობებისა.

— თქვენ მართლა შეგიძლიათ წარმატების მიღწევა, თქვენ მართლა შეგიძლიათ რაღაცის კეთება. ჩემთვის სწორედ ესაა მთავარი და არა ის, თუ ვინ რომელი პარტიის დროშას აფრიალებდა, ვინ ვის აფინანსებდა და ვინ ვის ლანძღავდა, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა. მისივე განცხადებით, ყოველივე ამას მნიშვნელობა არა აქვს — მნიშვნელოვანი მხოლოდ ისაა, ვინ რა გააკეთა საკუთარი ქვეყნისათვის.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ბოლოდროინდელ მოვლენებსაც შეეხო. პრეზიდენტის თქმით, ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება და მთავრობა, რომელიც მიტინგების გამართვის მოწოდებებს კი არ აკეთებს, არამედ თავად ამყარებს წესრიგს; რომელსაც საზოგადოებისგან საკმარისი უფლებამოსილება გააჩნია იმისთვის, რომ ქვეყანა არავის აარევინოს. როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, წესრიგის დამყარება სასიამოვნო პროცესი არ არის და არც ლამაზად გამოიყურება. მისი თქმით, საქართველომ ჩააბარა მთავარი ტესტი სახელმწიფოებრიობაზე.

„ვართ თუ არა ჩვენ ნამდვილი სახელმწიფო, ბოლოს და ბოლოს. ვართ შეუმდგარი ქვეყანა, თუ გვყავს ნამდვილი სახელმწიფო აპარატი, გვყავს საზოგადოება, თუ ერთი და იგივე რამდენიმე ასეული ადამიანი, რომელიც თავს ასაღებს საზოგადოებად. რასაკვირველია, საქართველოს ჰყავს საზოგადოება... მე ბევრი რამ ტელევიზიითაც ვნახე. რა თქმა უნდა, ყველაფერზე პასუხისმგებლობას ვიღებ და ჩვენს პოლიციელებს წინასწარ ვუთხარი , რომ ემოქმედათ კანონის ფარგლებში, ემოქმედათ უკომპრომისოდ, ყოფილიყვნენ ძალიან ფრთხილად, რასაკვირველია, ცუდი შედეგების შემთხვევაში, მეც მათთან ერთად გავიზიარებდი პასუხისმგებლობას. თუმცა ახლა თქვენ ხართ პასუხისმგებლები იმაზე, რომ ცუდი არაფერი მოხდეს. ღმერთმა გადაგვარჩინა, რომ ამდენად მასშტაბური შეტაკების შედეგად, უმეტესი მსხვერპლი პოლიციის რიგებშია. ჩვენ ვქმნით სახელმწიფოს და სახელმწიფოში კანონის ფარგლებში ძალის გამოყენების მონოპოლია აქვს მხოლოდ სახელმწიფოს“.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, არავის არა აქვს უფლება, პოლიციელებს დაესხას თავს და მით უმეტეს — ჩაქოლოს ისინი. ასევე, არავის არა აქვს უფლება დაამტვრიოს მაღაზიების ფანჯრები და მანქანები.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, საქართველომ უკვე გაიარა ის პერიოდი, როცა ყველაფერი მოიშალა და ქვეყანას უკონტროლობა ეუფლებოდა. ამიტომაც, ამის აღსაკვეთად სახელმწიფო იყენებდა, იყენებს და გამოიყენებს ყოველთვის იმ აუცილებელ საშუალებებს, რომლებიც მას გააჩნია.

მისივე განცხადებით, ქვეყანა ღმერთმა გადაარჩინა, რომ ამ მასშტაბური შეტაკების შედეგად, უმეტესი მსხვერპლი ისევ პოლიციის რიგებშია.

მიხეილ სააკაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ეს ხორციელდება არა მთავრობის, არამედ საზოგადოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ბიზნესისა და მთლიანად ქართველი ხალხის დასაცავად.

საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენებთან შეხვედრისას ქვეყნის პრეზიდენტმა დასაქმების ახალი პროგრამის შესახებაც ისაუბრა.

მისი თქმით, ეს პროგრამა უახლოეს დღეებში ამოქმედდება და მასში 100 ათასამდე ადამიანი იქნება ჩართული.

მიხეილ სააკაშვილმა ბიზნესმენებსა და მეწარმეებს მოუწოდა, დღესვე გამოაცხადონ ვაკანსიები იმ ადგილებზე, რომლებსაც უახლოესი ორი წლის განმავლობაში შექმნიან.

პრეზიდენტის განცხადებით, ხალხის სტაჟირების ფულს სახელმწიფო იმ დრომდე გადაიხდის, ვიდრე ისინი წინასწარ განსაზღვრულ ობიექტზე მუშაობას დაიწყებენ. — ჩვენი მთავარი ამოცანაა — დასაქმება, დასაქმება, დასაქმება. არ მოგასვენებთ, შემოგიჩნდებით, მაგრამ ეს სასიამოვნო პროცესი იქნება, — განუცხადა სააკაშვილმა მეწარმეებს.

პრეზიდენტის თქმით, ბოლო თვეების განმავლობაში ამოქმედებული სიცრუის ფაბრიკა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ საქართველოში ეკონომიკური ოპტიმიზმი არ გაჩენილიყო, რომ ქვეყნას არაფერი ეშველებოდა, არაფერი არ განვითარდებოდა და არანაირი მომავლის იმედი არ იარსებებდა.

— მათ სურდათ, რომ ქვეყანა დეპრესიის მორევში ჩაეთრიათ და ისეთი ატმოსფერო შეექმნათ, რომ საერთოდ, ყოველგვარ წარმატებაზე საუბარი უხერხულიც კი ყოფილიყო, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილი არ უარყოფს, რომ საქართველოში ხალხს ძალიან უჭირს და ქვეყანაში არსებულ პროგრესს სიღარიბეში მყოფ მოსახლეობაზე მინიმალური ეფექტი აქვს.

— რა თქმა უნდა, ხალხს უჭირს. როცა მე პრეზიდენტი გავხდი, საქართველოში სიღარიბის მაჩვენებელი 55 პროცენტი იყო , ახლა 28 პროცენტზე ნაკლებია და, ვვარაუდობ, რომ კიდევ უფრო ქვემოთ ჩამოვა, — განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, სამწუხაროდ, ყველაფრის გამოსწორება არც ერთ წელიწადში შესაძლებელი და არც სამ წელიწადში, ამისათვის საკმაო დროა საჭირო.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, გაჩნდა ქვეყნის წინსვლის განცდა და შეგრძნება იმისა, თუ რა არის ეკონომიკური წარმატება.

სიღნაღი მილიონრების ქალაქია. მისი განმარტებით, მილიონრებში არ იგულისხმებიან არც ბიზნესმენები და არც ის ადამიანები, რომლებიც სიღნაღში შენობებს ყიდულობენ, მილიონრებში სწორედ სიღნაღში მცხოვრები მოსახლეობა იგულისხმება, რომელთა სახლები თუ ერთი წლის წინათ 2 ათასი დოლარი ღირდა, ახლა, ზოგ შემთხვევაში, 200 ათასი, 600 ათასი, ნახევარი მილიონი ან მეტი ღირს.

— მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სიღნაღელებმა ეს ყველაფერი უნდა აილონ და გაყიდონ. ზოგმა, შეიძლება, გაყიდოს და ბიზნესიც წამოიწყოს. ზოგმა კი, რადგან ქონება აქვს, კრედიტი აიღოს და საქმიანობა ასე დაიწყოს, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ბოლო დღეების განმავლობაში ქვეყანამ ბევრი გამოცდა ჩააბარა და თანაც ყველა ფრიადზე.

— ჩვენ ბოროტი ძალა გვიპირისპირდება. ბოროტებას კი ყოველთვის ჰგონია, რომ სიკეთეზე ძლიერია. ეს ასე არ არის, — აღნიშნა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, ფაქტები მეტყველებს, რომ ქვეყანაში სახელმწიფო ინსტიტუტების შერყევის, დაშლისა და ქაოსის შექმნის მცდელობა იყო.

— იყო თითოეული მოქალაქის გალარიბების მცდელობა და, ვისაც უნდა ქვეყანა იაფად ჩაეგდო ხელში, ის შეეცდება, არეულობის იმიტაცია შექმნას. ვერ მოგვაწვებით ვერანაირი რქებითა და ვერანაირი ბერკეტებით, — განაცხადა პრეზიდენტმა.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც გარკვეული ჯგუფი რუსთაველის გამზირზე ცნობილი ლოზუნგებით შეიკრიბა და ქვეყანაში, როგორც ყოველთვის, არეულობა, სამოქალაქო ომი და უკუსვლა არ დაიწყო. პრეზიდენტის თქმით, ხელისუფლებამ აქციას აქცია არ დაუპირისპირა.

ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო აპარატს ბოლო დღეების მოვლენებისას მოქმედება მოუწონა და აღნიშნა, რომ სახელმწიფო აპარატმა საოცარი კონსოლიდაცია გამოიჩინა. მაგალითად მან პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დაასახელა, რომელიც, პრეზიდენტის თქმით, ისეთი დარწმუნებული, მოწოდებული და მშვიდი იყო, როგორც არასდროს.

— ოთხი დღის განმავლობაში ის საკუთარო ოთახის ფანჯრებიდან ხედავდა იმ ბაქანალიას და ისმენდა არა მხოლოდ ჩემს, არამედ მისი ოჯახის ლანძღვასაც. როდესაც შეტაკება დაიწყო, მას წარბიც არ შეუხრია. მის კაბინეტში 40-50 გავეშებული მამაკაცი ცდილობდა შეჭრას, მაგრამ იგი გაბედულად გავიდა მათთან სალაპარაკოდ და ყველა უკანა თათებზე დადგა, — განაცხადა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტი კმაყოფილებას გამოთქვამდა იმის თაობაზეც, რომ საგანგებო მდგომარეობის შესახებ დეკრეტის დამტკიცებისას პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა შეიკრიბა.

პრეზიდენტის თქმით, ყველა სხვა ქვეყანაში პარლამენტის თავმჯდომარე ცალკე დადგებოდა, ხოლო პარლამენტში ყოყმანი დაიწყებოდა. მისივე განცხადებით, ამის იმედი ერთ-ერთ სუბიექტს ჰქონდა.

რაც შეეხება პოლიციას, სააკაშვილმა აღნიშნა, რომ პოლიცია ყოველთვის ხალხის მხარეს, ამრევებისა და ხულიგნების წინააღმდეგ იდგა. საქართველოს პრეზიდენტის თქმით, საქართველოში საგანგებო მდგომარეობა მაშინ გაუქმდება, როდესაც ქვეყნის ხელისუფალი აბსოლუტურად დარწმუნებული იქნება, რომ ყველა რისკი მოხსნილია.

— საგანგებო მდგომარეობა მოიხსნება მაშინ, როცა ჩვენ ჩავთვლით საჭიროდ და არა, როცა ვინმე გვეტყვის, როცა მე, როგორც თქვენი ხელისუფალი, აბსოლუტურად დარწმუნებული ვიქნები, რომ ყველა რისკი მოხსნილია. დარწმუნებული ვარ, ეს უახლოეს დღეებში მოხდება, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ეს არ გაკეთდება ვიღაცის მითითებით, რადგან პასუხისმგებლობა არსებობს, არა რომელიმე ქვეყნის საგარეო მინისტრის, არამედ შემდეგი წლების განმავლობაში საქართველოს ისტორიის წინაშე.

— ჩვენ პასუხისმგებლობა ვიკისრეთ ყველა თქვენგანის, ყველა მოქალაქისა და ჩვენი მომავლის წინაშე, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

## ◎ ინფორმაცია

### კახა კუკავა: კონსტრუქციული დიალოგი შედგება მას შემდეგ, რაც თავისუფალი ტელეკომპანიები მაუწყებლობას განაახლებენ

**— დიალოგი შედგება მაშინ, როდესაც თავისუფალი ტელეკომპანიები გაიხსნება. უცნობია რამდენად არის ამისათვის მზად ხელისუფლება, თუმცა ჩვენ მზად ვართ იმისათვის, რომ ყველაფრისთვის ვიბრძოლოთ, — განაცხადა კახა კუკავამ.**

— ოპოზიციის საერთო კანდიდატი, რომელიც 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილს დაუპირისპირდება, აუცილებლად ერთიანი ეროვნული საბჭოს ერთ-ერთი წევრი იქნება, — განაცხადა კუკავამ.

**ХО-ЭОВ-ЭНО**

### თემურ შაშიაშვილი: ოპოზიციამ პრინციპული პოზიცია ვერ გამოიჩინა

**პოლიტიკური მოძრაობა „წინ, საქართველოს“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებას საპრეზიდენტო არჩევნების 2008 წლის 5 იანვარს ჩატარებასთან დაკავშირებით უარყოფითად აფასებს.**

როგორც შაშიაშვილმა განაცხადა, სააკაშვილმა მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო, ვინაიდან ზამთარში, როდესაც რთული კლიმატური პირობებია, ხალხი არჩევნებზე ნაკლებად მიდის, ვიდრე გაზაფხულზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არჩევნები გაყალბდება.

— ოპოზიცია, რომელიც ხელისუფლებას ტერორისტს უწოდებდა და ამტკიცებდა, რომ ასეთ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაზე არ წავიდოდა, 7 ნოემბრის შემდეგ მოლაპარაკებები დაიწყო. ეს მიუღებელია. 7 ნოემბერს რა უბედურებაც მოხდა, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას გაუცნობიერებია, — აღნიშნა შაშიაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ადუღებული დრო •

**მოვუწოდებ საქართველოს ყველა მეგობარ ქვეყანას, დაეხმაროს ქართველ ხალხს დემოკრატიის დაცვაში და აიძულოს ხელისუფლება შეასრულოს რამდენიმე ცხადი პირობა, რომელიც აუცილებელია ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად**



⊙ SIC!

# გადავწყვიტე, მონაწილეობა მივიღო საპრეზიდენტო არჩევნებში

## ბადრი პატარკაციშვილის განცხადება

2007 წლის 9 ნოემბერს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა ჩემს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე და მცნო ექპემიტანილად საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების მონაწილეობაში, ანუ წამოაყენა ვარაუდი ჩემი მხრიდან პოლიტიკური სახის დანაშაულის ჩადენაზე.

შეგახსენებთ, რომ პროკურატურის ეს ქმედება მოჰყვა კომპრომისის გამოძებნის თაობაზე ჩემს მრავალრიცხოვან საჯარო მოწოდებებს იმ უმძიმესი პოლიტიკური კრიზისიდან გამოსასვლელად, რომელშიც ჩააგდო ქვეყანა მ. სააკაშვილმა და მისმა უახლოესმა გარემოცვამ.

ყველა და მათ შორის 2007 წლის 2 ნოემბერს ასიათასიან მიტინგზე ჩემს მიერ გამოთქმული მოსაზრება მშვიდობიანი დიალოგის სასარგებლოდ, რასაც დემონსტრანტებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი, უგულებელყოფილი იქნა. მ.სააკაშვილმა მიიღო უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება და მის ხელთ არსებული რეპრესიული მექანიზმი მთელი ძალით აამოქმედა, გაზის იერიშის, რეზინის ტყვიებისა და ხელკეტების გამოყენების ჩათვლით მშვიდობიანი მანიფესტანტების, ანუ იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებსაც არცერთხელ არ დაურღვევიათ კანონი.

შედეგად მივიღეთ — ათასობით დაზარალებული, ასობით მოწამლული და დასახიჩრებული. გამოუსწორებელი მორალური ზიანი მიადგა მილიონობით საქართველოს მკვიდრს, რომლებმაც დემოკრატიის ირწმუნეს.

თავისი არასამართლებრივი ქმედებით მ.სააკაშვილი და მისი რეჟიმი ხალხთან დაპირისპირებული აღმოჩნდა. ზუსტად ეს აღვნიშნე მე 7 ნოემბრის განცხადებაში — „სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი განწირულია“.

სამწუხაროდ, ვერც მრავალრიცხოვანმა განცხადებებმა და ვერც რეჟიმის ოპონენტების მისამართით ჩემმა სამშვიდობო ინიციატივამ ვერ გამოაფხიზლა ხელისუფლება. იმავე დღეს სპეციალური დანიშნულების რაზმმა დაარბია ერთადერთი საერთოეროვნული, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ტელეარხი „იმედი“, რის შემდეგაც მ. სააკაშვილმა საგანგებო რეჟიმი შემოიღო.

მხოლოდ საქართველოსათვის კი არა, ახლა უკვე მთელი მსოფლიოსათვის გახდა გასაგები, თუ რას ნიშნავს დემოკრატია „სააკაშვილის მიხედვით“.

2007 წლის 8 ნოემბერს, საკუთარი ხალხისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ კედელთან მიმწყვდეულმა მ.სააკაშვილმა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების თაობაზე განაცხადა. მან ოპონენტებს საპრეზიდენტო კანდიდატების რეგისტრაციაზე თვე, ხოლო მოსამზადებლად ორ თვეზე ნაკლები ვადა მისცა და ესეც საგანგებო მდგომარეობისა და თავისუფალი მედიის არარსებობის პირობებში. თუმცა ფეხქვეშ ნიადაგგამოცლილ სააკაშვილს ესეც ეცოტავა. მან გადაწყვიტა არჩევნებში მონაწილეობისათვის არ დაეშვა არც ერთი პოტენციური მოწინააღმდეგე და ისინი ხალხის მტრებად გამოაცხადა.

ხერხი მოძველებულია, მაგრამ ეფექტური — ავტორიტარული რეჟიმის ქვეყნებში.

მრავალჭირნახულმა ქართველმა ხალხმა თავისუფლების მისაღწევად რთული გზა განვლო. ვერავინ ვერასდროს ვერ შესძლებს მის წართმევას. მ. სააკაშვილმა ეს ვერაფრით ვერ შეიგნო. ამიტომაც ისიც და მისი რეჟიმიც განწირულია. საქართველოს მოსახლეობამ მას უკვე გამოუტანა განაჩენი.

მთელი მსოფლიოს თვალწინ საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიაზე განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობს დასავლეთი, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატები. ვინაიდან გამოცდა, რომელსაც ამჟამად გადის საქართველოში ახლადაღმოცენებული დემოკრატია, არის ამავდროულად გამოცდა მათთვის, ვინც რთულ წუთებში მხარში უდგას ქართველ ხალხს და შეცდა მასთან ერთად, როდესაც ენდო მ. სააკაშვილს.

ვადასტურებ, რომ მ. სააკაშვილის მხარდაჭერის გაგრძელება ნებისმიერის მხრიდან სავარაუდოდ ითვალისწინებს იმ პასუხისმგებლობის გაზიარებასაც, რომელიც მის საქმიანობას სდევს თან.

მოვუწოდებ საქართველოს ყველა მეგობარ ქვეყანას, დაეხმაროს ქართველ ხალხს დემოკრატიის დაცვაში და აიძულოს ხელისუფლება შეასრულოს რამდენიმე ცხადი პირობა, რომელიც აუცილებელია ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად:

1. დაუყოვნებლივ გაუქმდეს საგანგებო ვითარება.
2. შეწყდეს პოლიტიკური მოტივების გამო მოქალაქეების დევნა. დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს პოლიტიკური მოტივებით აღძრული ყველა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც 2007 წლის 2 ნოემბრის მასობრივი მიტინგების გამართვის წუთიდან აღიძრა.
3. მოიხსნას საპრეზიდენტო კანდიდატის რეგისტრაციისათვის ხელოვნურად შექმნილი ყველა წინააღმდეგობა.
4. დაუყოვნებლივ აღდგეს მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალების მაუწყებლობა და ფუნქციონირება. ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს გარანტირებულად ჰქონდეს თანასწორ ვითარებაში მედიასაშუალებებით სარგებლობის უფლება.
5. უზრუნველყოფილი იქნეს საერთაშორისო დამკვირვებლების ფართომასშტაბიანი დასწრება-მეთვალყურეობა არჩევნების ყველა სტადიაზე და მათთვის ნებისმიერი დარღვევის ზუსტი ფიქსირებისათვის ცივილური პირობების შექმნა.

მ. სააკაშვილის რეჟიმი სრულიად დისკრედიტირებულია ხალხის თვალში და ველარასდროს მიანდობს მას თავის მომავალს.

მ. სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრებულთა მიმართ გამოყენებული უპრეცედენტო შანტაჟისა და დაშინების ვითარებაში, მივიღე გადაწყვეტილება არ დავუშვა საქართველოს პრეზიდენტის უალტერნატივო არჩევნების ჩატარება და 2008 წლის იანვარში მივიღო მასში მონაწილეობა. მე არჩევნებში მივიღებ მონაწილეობას ლოზუნგით: „საქართველო სააკაშვილის გარეშე ნიშნავს — საქართველო ტერორის გარეშე“. საქართველოს პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში კი ვიძლევი გარანტიას, დაუყოვნებლივ გამოვიდე საპრეზიდენტო რესპუბლიკის საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაქმნის თაობაზე რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივით.

ამავდროულად ვიტოვებ უფლებას, შევცვალო ეს გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუკი ოპოზიციონერები მოძებნიან საკუთარ თავში ძალას და მოახდენენ კონსოლიდირებას საკუთარი მანიფესტის თეზისების ირგვლივ და წარმოადგენენ ერთიან კანდიდატს ცხადი მიზნით — დაამარცხონ მ. სააკაშვილის რეჟიმი.

⊙ წინასაარჩევნო მარათონი

# დემოკრატიის ბეჭდაუდებელი ფალავანი

## სააკაშვილმა ოპონენტები „დუელში“ გამოიწვია

**გვიანი შემოდგომის ამ ჭლმურტლიან და სუსხიან დღეებში დემოკრატიის ყვავილობის არნახულმა სურნელმა ერთიანად გააბრუა, შეიძლება ითქვას, კარგა მაგრად გამოათრო მთელი ქართველობა. თუ არა ამით, სხვა რით შეიძლება ავხსნათ თბილისის დედაქუჩაზე თავშეყრილი ათეულათასობით დემონსტრანტის უკომპრომისო მოთხოვნა: მოგვაშორეთ ეს ხელისუფლება! მიშა წადი!**

თქვენც არ მომიკვდეთ, მიშას არაფერი ესმოდა; სხვა დროს ყოველთვის აჩქარებული, ქარიზმატული პრეზიდენტი თითქოს დაყრუებულაო, მორჭმით იჯდა ხალხის ხელით მირთმეულ ტახტზე და არხეინად ილიმებოდა.

ეს რა ხდებაო, კვიროზდა ხალხი, ნუთუ მეამბოხე ქვეყნის საყოველთაოდ აღიარებული ლიდერი ისე დაყრუვდა და დაბრმავდა, რომ აღარც ხალხის რისხვის ხმა ესმის და ველარც სახელმწიფოს მორყევის საფრთხესა გრძნობსო?

ნურას უკაცრავად! ასე მხოლოდ ოპოზიციური პარტიების თავქერქეტა ლიდერებს შეეძლოთ ეფიქრათ, თორემ თავად ქართული დემოკრატიის მამა-შემოქმედმა შესანიშნავად უწყოდა, რასაც იქმდა. მაშინ განა ვინმეს შეეძლო გაეგო დემოკრატი პრეზიდენტისათვის, რა სიამაყეს გრძნობდა, როცა ქუჩიდან საკუთარი ნამოღვაწარის გინება-განქიქებას ისმენდა? ეს ხომ სწორედ იმ ძვირადღირებული დემოკრატიის მონაპოვარი იყო, რომლის ჭეშმარიტი ავტორი თავად მიხეილ სააკაშვილი გახლდათ. აბა ვინმემ გაბედოს და გვიჩვენოს იმის პრეცედენტი არა მარტო პოსტსაბჭოურ სივრცეში, თვით ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი, რაც იმ დღეებში საქართველოში ხდებოდა? ვერ გვიჩვენებს, იმიტომ რომ ამის ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს.

ერთადერთი მხოლოდ საქართველოა, ერთადერთი და განუმეორებელი, სადაც საკაცობრიო მონაპოვარმა — დემოკრატიამ ოლიმპოს მწვერვალზე შედგომა მოახერხა, რაშიც ლომის წილი თავად პრეზიდენტს მიუძღვის. ბუნებრივია, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, სხვათა დარად, შეეძლო, დემოკრატია გვერდზე გადაედო, ეზრუნა მხოლოდ ეკონომიკაზე, სამართლიანობაზე, ხალხის დაპურებაზე, მაგრამ იმაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ, ამას რა შედეგი მოჰყვებოდა?

ადვილი მისახვედრია: ქვეყანაში იმრავლებდა მატერიალური დოვლათი, იქნებოდა ფუფუნება და კეთილდღეობა (რაც თავად ხელისუფალთ მოჭარბებულადაც აქვთძ, მაგრამ არ იქნებოდა დემოკრატია, არ იქნებოდა ის უმაღლესი ღირებულებები, რომელთა წყალობითაც საქართველო და მისი თავკაცი მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში თითით საჩვენებელი შუქურები გახდნენ. რაც მთავარია, არ იქნებოდა ხალხის უკმაყოფილება და მღელვარება, დღეობით გაწელილი აქცია-დემონსტრაციები, რომელთა გარეშეც ნაღდი დემოკრატია წარმოუდგენელია.

ეს მშვენივრად იცის ქვეყნის პრეზიდენტმა, მაგრამ არ იცის ბევრმა უბირმა პოლიტიკოსმა და ამიტომაც მოითხოვდნენ ასე საჯაროდ და უსირცხვილოდ მის გადადგომას, მათ ისიც კი არ იციან, რომ ასეთი უგვანო საქციელით ისევ და ისევ დემოკრატიის წისქვილზე ასხამდნენ წყალს.

ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, კვლავაც პრეზიდენტი მოგვევლინა დემოკრატიის ერთგულ დამცველად და გარეულ თუ შინაურ ბინძურ ძალებთან შეკრული პოლიტიკოსების მოთხოვნა, სრულიად სამართლიანად, ფეხებზე დაიკიდა. იმარჯვა ხელისუფლებამაც, რომელმაც მტკიცედ დაიცვა მშვიდობიანი მოსახლეობის ინტერესები — მოუშმუშილე, მწოლიარე დემონსტრანტები მათრახით წამოყარა, ხოლო ფეხზე მდგომთ ხელკეტებით, რეზინის ტყვიებით, ცრემლსადენი გაზითა და წყლის ჭავლით გაუმასპინძლდა. პრეზიდენტმა ამას ზედ მიაყოლა ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა, მედიაზე ზეწოლა, სატელევიზიო არხების მთლიანი თუ ნაწილობრივი დადუმება, რითაც საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტები კიდევ ერთხელ განაცვიფრა.

მისი აღმატებულების — დემოკრატიის რეიტინგის კიდევ უფრო გაზრდის მიზნით, ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი კარიერაც არ დაზოგა — ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა და სახელმწიფოს ერთპიროვნული მართვის შანსი თითქმის მთელი წლით შეიმცირა. ამით მან, მისთვის ჩვეული გამბედაობით, კიდევ ერთი რაინდული ნაბიჯი გადადგა — პრეზიდენტობის მოსურნე პოლიტიკოსებს ხელთათმანი ესროლა და წინასაარჩევნო „დუელში“ გამოიწვია.

ჰა ბურთი და ჰა მოედანი! აგერ არის, ბატონებო, მიხეილ სააკაშვილი — თანამედროვე დემოკრატიის ბეჭდაუდებელი ფალავანი და აგერა ხართ თქვენ — ამ ფალავნობის მოსურნე პოლიტიკოსები.

ვისაც ღონე გერჩით, სარდაფებში კი ნუ იმალებით, მიდით, ებღლვენით პრეზიდენტს, ვიდრე არ გადაუფიქრებია!

**ოთარ ხუციშვილი**

⊙ ინფორმაცია

### საპრეზიდენტო არჩევნებში შალვა ნათელაშვილი კენჭს იყრის

**საქართველოს ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით, 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში შალვა ნათელაშვილი კენჭს იყრის.**

პოლიტიკურმა კომიტეტმა, პარტიის წესდების თანახმად, შალვა ნათელაშვილის კანდიდატურა გუშინ წამოაყენა.

შესაბამისი განცხადება ჟურნალისტებს ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა გააცნო.

ლეიბორისტების ინფორმაციით, უახლოეს პერიოდში შალვა ნათელაშვილი ქართული და საერთაშორისო მასმედიის წინაშე წარსდგება.

როგორც შატბერაშვილმა აღნიშნა, ლეიბორისტების ლიდერი შალვა ნათელაშვილი 7 ნოემბერს ცრემლსადენი გაზით მოიწამლა. მას სასუნთქი გზები და ბრონქები აქვს დაზიანებული, რის გამოც მკურნალობის კურსს თბილისში გადის, თუ სად, ამას ლეიბორისტები არ აკონკრეტებენ.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გარდა, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვეს დავით გამყრელიძემ, გია მაისაშვილმა და ბადრი პატარკაციშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# დიდი მოლოდინი

● ისე, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ხრიკი, ფანდი და აბრუნდი ცრუმეფეთა მოგონილია. ხრიკმა, ფანდმა და აბრუნდმა კი ხაფანგში გამომწყვდევა იცის.
ის ხაფანგიც უკვე დაგებულია...



**◎ ახალი ზეპირსიტყვაობა**

**მრავალ სხვა რედაქციასთან ერთად და კიდევ ძალიან ბევრის მსგავსად ძველი ადგილსამყოფლიდან სულ კინწისკვრით გამოგდებულ ჩვენს რედაქციას გუშინ ერთმა ბერიკაცმა, ყველა ჩვენგანის გასაოცრად გვარ-სახელით ისევ პეტრე უმიკაშვილმა, ახალ მისამართზე მოაგნო და, გინდათ თუ არა, ერთი ზღაპარი უნდა ჩაგვაწერინოთო, თავი მოიკლა. ჩვენც ავდექით და ჩავიწერეთ, რა უნდა გვექნა...**

# ჩვენისთანა ბედნიერი ერის ზღაპარი, ანუ ჭირი აქა, ლხინი იქა?!.

იყო და არა იყო რა, ცხრა მთას იქით კი არა, ცხრა მთას აქეთ იყო ერთი ჩვენისთანა ბედნიერი ერის ქვეყანა. ის ერი ბედნიერი კი იმიტომ იყო, რომ უბედურების შიში არა ჰქონდა. უბედურების შიში კი იმიტომ არა ჰქონდა, რომ უბედურება რა იყო, არ იცოდა. უბედურება კი რა იყო, იმიტომ არ იცოდა, რაკი თავი ბედნიერებისთვის გაჩენილი ეგონა. თავი კი ბედნიერებისთვის გაჩენილი იმიტომ ეგონა, რაკი ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანაში ცხოვრობდა, რაკი ქვეყნიერების განაწილებისას თვითონ მამალმერთმა მიუზომა ეს ტურფა ადგილი მზის ქვეშ...

და გათამამდა ის ჩვენისთანა ბედნიერი ერი, გაყოყოჩდა, გაამპარტავნდა, ჩემი პატრონი თუკი თავად მამალმერთია, ერთმა მავანმა კაცმა რა უნდა დამაკლოს, გინდაც ცხრა ჩლაში გამოვლილი ეშმაკის ცხრა ფეხის მომჭმელიც იყოსო. არადა დააკლო კი არა, ამ ერთმა მავანმა კაცმა ეს ბედნიერად თავწარმოდგენილი ქვეყანა ყუაზე გაიყვანა. ყუაზე კი იმიტომ გაიყვანა, რაკი ამ ქვეყანაში, როგორც მოგახსენეთ, ბედნიერი ერი ცხოვრობდა და ვერცვის ვერ წარმოედგინა, თუ ვინმე გააუბედურებდა. წარმოდგენით კი იმიტომ ვერ წარმოედგინა, რაკი ყველა მუნჯი, ყრუ, ცრუ, სუყველა თვალაზმული, თავაკრული და, რაც მთავარია, ჯორცხენივით მომთმენი იყო.

იმ მავანმა კაცმა სწორედ ამით ისარგებლა, თავისი გამზრდელი წინა მეფისგან გაბრაზებული და მოტყუებული ხალხი სულ დასტა-დასტა და მაზა-მაზა ახალი ტყუილებით მიიმხრო, თავისი გამზრდელი წინა მეფე კი სახლში დასვა, გეყოფა ცრუმეფობა, დაისვენეო, და მეფის ტახტი თვითონ მოიგდო ზურგზე. აქამდე თუ ზედ სხდებოდნენ მეფენი ტახტზე, ეს მავანი კაცი, როგორც უკვე გითხარით, ტახტზე დამჯდარი კი არა, ზურგზე ტახტმოკიდებულიც არავის დაუნახავს, სულ ცაში იყო და იქიდან დასცქეროდა ქვეყანას. თანაც ჩამოიძახოდა, ცის დანიშნული ვარ და ცაში თვითონ ღმერთს ველაპარაკები, რათა დღემდე რაც უბედურება გადაგიტანიათ, თქვენი ამქვეყნად არსებობის მანძილზე პირველად სუყველა ის უბედურება ერთად დაგავიწყოთო.

ეს ჩვენისთანა ბედნიერი ერიც იდგა და ცაში იყურებოდა, სულ თავისი მფრინავი მეფის ძებნაში იყო. ცაში კი იმიტომ იყურებოდა და მეფესაც იქ იმიტომ ეძებდა, რომ წლები გადიოდა და მეფის არც ერთი დაპირების ასრულებას პირი არ უჩანდა. მეფის უცხოდ დაგეშილი ნაზირ-ვეზირები კი იდგნენ და ცად კისერაღერილ ხალხს პირში აფურთხებდნენ, ლანძღავდნენ, ვაი თქვე მართლა თვალაზმულებო და თავაკრულებო, თქვე ცუღლუტნო და მანკიერნო, უღიერნო და ცბიერონოო, ნუთუ დაგავიწყდათ, რა არრის მქონენიც და არრის მცოდნენიც იყავითო, ნუთუ ვერ ხედავთ, როგორ აყვავდა ქვეყანა, სადაც ზამთარშიც გაზაფხულია და სადაც ერთი საქვეყნო სუფრაა გაშლილიო.

ხალხმაც, ამდენი ხნის მანძილზე ცისკენ მაცქერალმა, უცებ ძირს დაიხედა და რასა ხედავს — სადღაა ტურფა ქვეყანა! სუყველა გოჯი გაყიდულია, აღარც მიწაა, აღარც წყალი! გარშემოც სულ სხვა ხალხის ჟრიამული დგას. ზოგი საიდან მოსულა, და ზოგი საიდან...

ქვეყანა ის აღარ არის.

აღარც სწორი სამართალია.

აღარც კაცია კაცის წამალი.

თუ სადმე თაფლია გადარჩენილი, ისიც ძაღლის გუდაშია გადანახული.

და დაიწყო ქვეყანაში სიყვარულის გვალვა, გადახმა სიყვარულის ყანები და ვენახები (თვითონ გამოჩენილი მომღერლებისაც კიძ, მარტო სიძულვილის ნარ-ეკალიღა ხარობდა. თუ მოვიდოდა, წვიმაც სიძულვილისა მოდიოდა და მთელ ქვეყანაში სიძულვილის ტბორები იდგა.

ერიჰააო, დაიძახა ჩვენისთანა ბედნიერმა ერმა, ქუდზე კაცი გამოვიდა, აღარ გვინდიხაროო, წადიო, ფლიდი და მატყუარა ყოფილხაროო, ატეხა ყვირილი და ერთი ვაიუშველებელი, აღარ გვინდა სიძულვილის წვიმები, სიყვარულის წვიმა მოგვენატრაო.

განრისხებულმა მეფემაც (თუმცა განრისხებას სულაც არ იმჩნევდაძ უყურა ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე, ოთხი დღე, და რახან ბავშვობიდან სულ ფრიადოსანი იყო და ციფრი ხუთიანი

ძალიან,

ძალიან,

ძალიან უყვარდა, ყვირილი და ჩხუბი ახლა ჩემი ნახეთო, მეხუთე დღეს გამოიყვანა ვითომდაც ქვეყნის გასაერთიანებლად შექმნილი ლაშქარი და სულ ფეხქვეშ გააგებინა ეს თავისი ბედნიერი ერი, რომელსაც მოფერებით თან ქუჩაში გამოსულ ფარშავანგთა გუნდი უწოდა.

ისე, როგორი სანახავია თითქმის ასორმოცდაათი ათასი ფარშავანგი?!.

და უნდა გენახათ, რა დღეში იყო ლაშქარადევნებული ეს ფარშავანგთა გუნდი!..

განრისხებულმა მეფემ კი, რომელსაც ჩვენისთანა ბედნიერმა ერმა ავი საქციელისთვის სწორედ მეხუთე დღეს დაუწერა ორიანი, ფარშავანგთა გუნდის დამარცხებამ კიდევ უფრო გაგვაძლიერაო, გაძლიერებული კი არსადაც არ წავალო, განაცხადა, და ახალი დემოკრატიული არჩევნები დანიშნა, თუ ვინმე მართლა მამალი ფარშავანგია, გამოვიდეს და მომიგოს არჩევნები, ის გახდეს ბედნიერი ერის მეფეო, თანაც თავისი ფრიად შეშფოთებული ნაზირ-ვეზირები გააფრთხილა, რახან ჩემთან ერთად დამარცხება არ გინდათ, ამ ჩვენს ბედნიერ ერს გამარჯვების იმედი უნდა გადავუწუროთო. ნაზირვეზირთ კი, ამდენი გადაწურვა-გადმოწურვის თავი და დრო აღარ არისო, ადგნენ და პირდაპირ წაართვეს ბედნიერ ერს იმედი, ასე ჯობს, უიმედოდ უფრო მალე გამოყრუვდებაო.

მართლაც, იცოცხლე კარგა გვარიანად გამოყრუვდა ის ჩვენისთანა ბედნიერი ერის უიმედო ქვეყანა, რომელიც თავის არსებობის გრძელ მანძილზე უკანასკნელად ჯერ არ მოტყუებულა და, ვნახოთ ისევ ამისთანა ბედნიერ ერად უნდა დარჩენა, რომელიც ფარშავანგთა გუნდს შეადარა ცაში მფრინავმა მეფემ, თუ ნამდვილად ბედნიერ ერად უნდა გახდომა...

ისე, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ხრიკი, ფანდი და აბრუნდი ცრუმეფეთა მოგონილია. ხრიკმა, ფანდმა და აბრუნდმა კი ხაფანგში გამომწყვდევა იცის.

ის ხაფანგიც უკვე დაგებულია...

როგორც ჩანს, ამიტომაც არის, რომ იმ ჩვენისთანა ბედნიერმა ერმა, საბედნიეროდ, თვალების ფშვნეტა და ყურების გამოჩიჩქნა დაიწყო.

დემოკრატიულად გულმოსული მეფის კირკიტი და უპირო, სამყურა და თვალმახარა ნაზირ-ვეზირნი კი, განცხრომა-ფუფუნების დაკარგვის შიშით აფუთფუთებულნი, რომელთაც ჩვენისთანა ბედნიერი ერიცა და იმისი ქვეყანაც მუდამ ფეხებზე ეკიდათ, ჩვეულებისამებრ, მუქარით მღერიან:

*ლხინი ჩვენა, ჭირი თქვენა,*
*ფქვილი ჩვენა, ქატო*
*თქვენა,*
*ელასაო, მელასაო,*
*თუ ჩაგიგდეთ ბნელასაო,*
*მამობას მეფე გაგიწევთ,*
*დედას მოგიკლავთ*
*ყველასაო.*

ჩაიწერა
გურამ გოგიაშვილმა

P. S. მკითხველი, ალბათ, შეამჩნევდა, რომ ზღაპარი გარკვეულწილად ჩვენისთანა ბედნიერი ერის გაყიდულ ქვეყანაში ბოლო ხანს დატრიალებულ სავალალო ამბებს ეხება. ამდენად, იმასაც უთუოდ შეამჩნევდა, რომ ბევრი რამ გამორჩენილი თუ გამოტოვებულია. ამიტომ, ვფიქრობთ, მკითხველი თვითონ აღადგენს თავის თავში ჩვენისთანა ბედნიერი ერის ქვეყანაში დატრიალებული ამბების სრულ სურათს და მიხვედრითაც მიხვდება, რა ფანდებსა და ხრიკებზეა ზღაპარში ლაპარაკი, რა სიფხიზლის გამოჩენასაც ურჩევს ავტორი ფარშავანგს შედარებულ ახალი მეფის ამომრჩეველ ხალხს, რათა წინ მოსალოდნელ გზაგასაყართან მისულთ ერთხელ და სამუდამოდ სწორი გზა ავირჩიოთ და ჭეშმარიტად ბედნიერი ერის ქვეყანა გავხდეთ.

გ. გ.

№ 217. სამშაბათი, 13 ნოემბერი, 2007 წელი.

**◎ ინფორმაცია**

## ბრაიზა გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერებს შეხვდა

**გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლები გუშინ თბილისში მყოფ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწეს მეთიუ ბრაიზას შეხვდნენ.**

როგორც რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა, საუბარი ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის გამომწვევ მიზეზებს, მედიაზე განხორციელებულ ზეწოლასა და პოლიტიკურ რეპრესიებს შეეხო.

— მეთიუ ბრაიზასაც და აშშ-ს ელჩსაც ინფორმაცია ზედმიწევნით დეტალურად აქვთ მიღებული. ვისაუბრეთ არჩევნების დემოკრატიულად, გამჭვირვალედ ჩატარების უზრუნველყოფაზე, პოლიტიკურ დევნასა და მედიაზე. ჩვენ კიდევ ერთხელ დავაფიქსირეთ გაერთიანებული ოპოზიციის უცვლელი კურსი ევროპისა და ევროატლანტიკური სტრუქტურებისადმი სწრაფვის თვალსაზრისით. განვმარტეთ, რომ ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში, ეს პროცესი დაჩქარებული ტემპებით, უფრო ეფექტურად განხორციელდება, — აღნიშნა უსუფაშვილმა.

## საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას ითხოვს

**უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის დიალოგის გაგრძელების ერთ-ერთი პირობა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გაუქმებაა. ამის შესახებ რესპუბლიკელთა ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა განაცხადა.**

ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ თუ ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობა დაუყოვნებლივ არ გააუქმა და ყველა მედიასაშუალებას მუშაობის უფლება არ მისცა, დიალოგი შედეგიანი ვერ იქნება.

— ხელისუფლებას საგანგებო მდგომარეობის მოხსნას არა მარტო ჩვენ, არამედ მეგობარი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ურჩევენ. ამის შესახებ განცხადება კონდოლიზა რაისის დავალებით მეთიუ ბრაიზამაც გააკეთა. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ხელისუფლება, — განაცხადა დავით ბერძენიშვილმა.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენ-ის მიხედვით

# დიდი მოლოდინი

საიდან შეიტყვეს ცოტნეს ინფორმატორებმა – სავარაუდოდ რუსეთის სპეცსამსახურებმა – საქართველოს ხელისუფლების გეგმა-განზრახვა მიტინგის საგანგებო სიმკაცრით („ძალიან ცუდ ამბავს გიმზადებენ, ძალიან ცუდი რამ გელით“ძ დარბევის შესახებ?



◎ თავისტკივილიანი კითხვები

## შერში ლა ფამ

ნოემბრის დღეებმა ორი ისეთი კითხვა დამიტოვა, უფრო სწორად ისეთი თავისტკივილი გამიჩინა, მტრისას. ვზივარ ახლა, როცა 7 ნოემბრის აპოკალიფსი განვლილია და მაინც ვერ ვიკრებ აზრს.

პირველი კითხვა.

რუსეთის სპეცსამსახურებთან ჩვენი პარტიული ლიდერების ჯაშუშური თანამშრომლობის დამადასტურებელი ოპერატიული ჩანაწერები გვიჩვენეს და მოგვასმენინეს ტელევიზიით.

რამდენად არის ნანახ-მოსმენილი მაინცდამაინც ქვეყნის ღალატის „ნივთმტკიცება“, ეს სხვა საკითხია, ამაზე აქ ნუ ვიდავებთ.

მე ერთ მომენტზე მინდა ყურადღების გამახვილება, რომელზეც რატომღაც არავინ ლაპარაკობს. არადა, მისი შეუმჩნევლობა შეუძლებელია.

ცოტნე გამსახურდია თავის ძმას კონსტანტინე გამსახურდიას, შემდეგ კი ლეიბორისტული პარტიის ლიდერს შალვა ნათელაშვილს მოსკოვიდან აფრთხილებს, „ხვალ ძალიან ცუდი რამ მოგელითო, ინფორმაცია მაქვს, ხვალ ძალიან ცუდ ამბავს გიმზადებენო“.

ეს „ხვალ“ აშკარად 7 ნოემბერს გულისხმობდა.

გაფრთხილება ახდა: 7 ნოემბერს თბილისში მართლაც საგანგებოდ ძალზე ცუდი რამ მოხდა!

იმდენად ცუდი, რომ იქნებ ვერც ცოტნე გამსახურდია და ვერც მისი ინფორმატორები ვერ წარმოიდგენდნენ.

აქედან დასკვნა: ოფიციალური ვერსიისგან განსხვავებით, მიტინგის დარბევა გამოწვეული არ იყო იმით, რომ მომიტინგეებმა რუსთაველის პროსპექტი გადაკეტეს.

მიტინგის დარბევა წინდაწინ იყო დაგეგმილ-მოფიქრებული და შესაბამისად განხორციელებული.

პროსპექტის გადაკეტვა კი ამ გეგმის ნაწილად აღიქმება: პროსპექტი აუცილებლად უნდა გადაკეტილიყო, რათა დარბევის გეგმა ამოქმედებულიყო.

გადაიკეტა – ამოქმედდა!

ამდენად, მოწოდება რუსთაველი გადავკეტოთო, აშკარად „შემოგდებულს“ ჰგავს – გეგმის ავტორებმა, ამ გეგმისვე მიზანდასახულობის შესაბამისად, პროსპექტის გადაკეტვის მოწოდებაც უზრუნველყვეს და მერე გადაკეტვაც.

ამდენად, ეს იყო საფუძვლიანად ორგანიზებული სამხედრო ოპერაცია, რომელსაც კარგა ხნით უნდა ჩაეგდებინებინა ხალხისთვის ენა მუცელში, დაეშინებინა და დაეთრგუნა.

მართლაც, ასე მოხდა თუ არა, ერთობ საკამათოა, ამჯერად სხვა მაქვს სათქმელი.

საიდან შეიტყვეს ცოტნეს ინფორმატორებმა – სავარაუდოდ რუსეთის სპეცსამსახურებმა – საქართველოს ხელისუფლების გეგმა-განზრახვა მიტინგის საგანგებო სიმკაცრით („ძალიან ცუდ ამბავს გიმზადებენ, ძალიან ცუდი რამ გელით“ძ დარბევის შესახებ?

ე. ი. ვილაცამ საქართველოს ხელისუფლების შიგნიდან, გასცა ეს განზრახვა – შეატყობინა ის რუსეთის საიდუმლო სამსახურს.

ასეთ დროს იტყვიან ხოლმე „შერშე ლა ფამ“ („ეძებეთ ქალი“ძ.

ოღონდ ამჯერად ეძებეთ არა ქალი, არამედ გამცემი!

ამდენად, ბატონმა გივი თარგამაძემ, 7 ნოემბრის საღამოს ტელევიზიით წყევლა-კრულვას რომ უგზავნიდა ოპოზიციას, „სულს ამოგხდით, არ დაგინდობთო“, იქნებ თავისი „სულისამომხდელი“ ძალისხმევა ამ მიმართულებით წარმართოს – „ჩვენს მთავარ მტერთან, რომელთანაც დღეს ომი გვაქვს“ (გივი თარგამაძეძ, ანუ რუსეთთან დაკავშირებულ გამცემებს მიაკვლიოს?

ახლა მეორე.

რატომ ვგონივარ ხელისუფლებას მე (და ასიათასობით ჩემისთანაძ ბრიყვი, ან უფრო „თავაზიანად“ – გონებაშეზღუდული?

ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრ-გენერალურ პროკურორ – თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის მიუნხენიდან სატელევიზიო ჩართვაზე მოგახსენებთ, რომელიც „საქართველოს №1 მტრის“ ბადრი პატარკაციშვილის ინსინუაციად შეაფასა ჩვენმა გამჭრიახმა ხელისუფლებამ. თურმე მან („№1 მტერმა“ ბადრი პატარკაციშვილმაძ თავის „ხელის ბიჭს“, „თავის მჭიდეში ბოლო ტყვიას“, „გარყვნილს“, „მოღალატეს“, „უზნეოსა“ და „ერთჯერადი მოხმარების შპრიცს“ ირაკლი ოქრუაშვილს ახალი განცხადებით გამოსვლის შეკვეთა მისცა. მანაც მორჩილად შეასრულა ეს შეკვეთა (მაშ რისი ხელის ბიჭია!ძ და ახალი სერიოზული ბრალდებები წამოაყენა ხელისუფლების მისამართით (მაგალითად, პრეზიდენტის მიერ თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან 35 მილიონ დოლარად პერსონალური თვითმფრინავის შეძენა და ა.შ.ძ, რაც, ისევე როგორც ადრინდელი ბრალდებები, თურმე სიცრუე და საქართველოს მიმართ მტრობის გამომხატველი ყოფილა.

შემდეგ, – უფრო მეტი. მისი გათახსირებულობის დასტურად მოგვასმენინეს ოქრუაშვილის სატელეფონო საუბარი ბაჩო ახალაიასთან (სიტყვასიტყვითძ: „მიშას უთხარი, გადააყენოს მთავრობა, დანიშნოს პრემიერ-მინისტრად და მიტინგს დავუშლი“.

თუმცა ხმა აშკარად ოქრუაშვილისას ჰგავდა (ამას ვერც თვითონ უარყოფსძ, და ამ „ინფორმაციის“ მომწოდებლებს ძალიან სურდათ დამეჯერებინა ეს, მომკალით და არ მჯერა.

არ მჯერა იმიტომ, რომ ოქრუაშვილისადმი ჩემი საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, მისი იდიოტობა არ მჯერა.

ძნელი წარმოსადგენია ოქრუაშვილს ეს აბსურდული რამ სერიოზულად ეთქვა ახალაიასთვის. აკი განაცხადა, მე თავდაცვის მინისტრობის დროს ტელეფონით თვით პრეზიდენტს არ ვურეკავდი და ვინმე ბაჩო ახალაიასთვის დარეკვას რა მრჯიდა, თანაც ასეთი სულელური წინადადებითო.

თუ მაინც „იხუმრა“ ექსმინისტრმა, ეს კიდევ ერთხელ განმიმტკიცებს კრიტიკულ დამოკიდებულებას ამ კაცისადმი. მაგრამ რომ არ ჰგავს ხუმრობას?

აშკარად სპეცსამსახურის ნამამაძაღლარია და ახლა „არგუმენტად“ გვჩრიან – აქაოდა, ნახეთ და დარწმუნდით, ეს ირაკლი ოქრუაშვილი რა ჯეელიც არისო.

არადა, თვით უმრავლესობას, ნაცმოძრაობას სჭირდება იმაში ნებისმიერი გზით დარწმუნება, რა ჯეელიც არის მათი ყოფილი თანამოსაგრე და ერთ-ერთი უგავლენიანესი ლიდერი (აკი ქალბატონი ნინო ბურჯანაძე იმ დღეს გოდებდა პარლამენტის ტრიბუნიდან სინანულით, ეს რა კაცი ყოფილაოძ, თორემ ხალხმა ისედაც მშვენივრად იცის, ვინ ვინ არის.

ამიტომაც ვარ ნაწყენი და შეურაცხყოფილი, რომ ოქრუაშვილის გასაბიაბრუებლად ასეთი უდღეური „არგუმენტებით“ „მაბოლებენ“.

მე რომ მკითხოთ, ყველაფერი მართალიც რომ ყოფილიყო, ხელისუფლებას ძალიან უნდა ეფრთხილა და ეჭოჭმანა: ღირდა კი მისი მიწოდება ხალხისთვის, თუ ასეთ ეჭვებს აღძრავდა?

**სანდრო ალექსიძე**

◎ გულის ბუხარი

## აწი დამიჭირეთ, დამხვრიტეთ და ჩემი სისხლიც დალიეთ, თუ გინდათ!

მე 1956 წლის მარტის დღეებში თბილისში, სანაპიროზე, გვირგვინებით მოქუჩუჩებულ სტალინის ძეგლთან ვიდექი. საოცარია, მაგრამ მაშინდელი მარტიც ისეთივე მზიანი, თბილი და ოქროსსხივოსანი იყო, როგორც 2 ნოემბერი. მე და ჩემი მეგობარი მეტალურგები ჩვენს შელახულ ეროვნულ ღირსებას ვედექით იქ ცოცხალ ფარად. მერე, შელამებულზე, ყოფილი კავშირგაბმულობის შენობის წინ გვესროლეს. ჩემს თვალწინ ეცემოდნენ სიცოცხლით სავსე, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ქართველი ახალგაზრდები. მერე ისინი, ცოცხლებიც და მკვდრებიც ერთად შეყარეს სასწრაფო დახმარების მანქანებში.



და ეს გააკეთეს რუსის ჯარისკაცებმა, ეგრეთ წოდებულმა ,,ვასმოი პოლკის“ მკვლელებმა, რომლებიც უპატრონო ბავშვთა სახლებიდან იყვნენ აყვანილნი, საგანგებოდ ისე გამოზრდილები, საკუთარი მშობლებიც რომ ჰყოლოდათ, არც მათ დაინდობდნენ.

მაშინ 24 წლისა ვიყავი.

და მაინც, საქართველომ, ქართველებმა მაშინაც პირველებმა შეაზანზარეს წითელი იმპერია. დიახ, სტალინის სახელით, ჩვენ ვიბრძოდით სამშობლოსთვის და მე მაშინდელი მუხტი, იმ ჩემი თანატოლი გოგო-ბიჭების სისხლის ყივილი ვიგრძენი 1989 წლის აპრილის დღეებში, როდესაც როდიონოველებმა ისევ გაგვიმართეს ხოცვა-ჟლეტა. მე მაშინაც გადავრჩი, ალბათ ღმერთმა ასე ინება.



მერე მოვიდნენ კიტოვან-იოსელიანი მოთარეშე თავაშვებული მკვლელებით, თუმცა მე ამის უშუალო მხილველი არ ვყოფილვარ. სამაგიეროდ, ნოემბრის ქარ-ყინვიან დღეებში, ვარდებით გაბრწყინებული დიდი გამარჯვების დღე რომ გვეგონა, იქ ვიდექი. უფრო სწორად, გვერდში ვედექი ახალი იმედების მომგვრელ ხელისუფლებას, მომავალ ახალგაზრდა პრეზიდენტს, რომელიც...

იმ ვარდების რევოლუციაზე რამდენიმე ნოველა, მოთხრობა, ათობით პუბლიცისტური წერილი გამოვაქვეყნე ჟურნალ-გაზეთებში. ვერაფრით წარმომედგინა, როგორც სხვა ათეულ ათასობით ჩემს თანამემამულეს, შევარდნაძის ხელისუფლებაზე უარესი, თავისი ხალხის დამთრგუნველი, ქვეყნის ეკონომიკის დამანგრეველი, სულიერად გამანადგურებელი ხელისუფლება თუ იარსებებდა, რომელმაც ისტორიულად თავიანთ მამულს მიჯაჭვული ქართველობა სამშობლოდან აყარა და სხვა ქვეყნის მოქალაქეთა მონა-მსახურად, ლუკმა პურის მაძიებლად აქცია.

არადა, საქართველოს, რომელიც თავისი ბუნებრივი სიმდიდრით, რესურსით 10 მლნ. ადამიანს შეინახავს, რად უნდა დასჭირვებოდა თავისი სისხლ-ხორცის საზღვარგარეთ გაშვება?

ეს უკვე საუბრის სხვა თემაა, მაგრამ...

ჩვენდა სავალალოდ, ამჯერად ამ ხელისუფლებამ ისევ შეგვყარა რუსთაველზე. ზემოთ ვთქვი, დღე იყო მზიანი, ის კი არა, აფრიალებულ დროშებს ვეჩრდილებოდით, სამწუხაროდ, ჩემს გვერდით ადამიანები იდგნენ ბევრად უფრო დათრგუნულნი, გატეხილნი და დაჩაჩანაკებულნი, ვიდრე 9 მარტს, 9 აპრილს, თუნდაც ვარდების ნოემბერს.

ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ამდენი ხალხი კიდევ შეძლებდა იქ მისვლას და დგომას. მე საგანგებოდ დავიარე ერთი ბოლოდან მეორემდე და დავასკვენი, რომ არც ერთ ჩემს ნანახ მიტინგზე ამდენი ხალხი არ შეკრებილა.

იხ. 6 გვ.

# თვალში ნაცარი

• თუ გინდათ დამიჭირეთ, დამხვრიტეთ კიდეც არა მარტო იმ რეჟიმის ტყვიით და ჯალათური სისასტიკით...
საკუთარ ხალხთან დიდ ომში გამარჯვებულ ბოკერია-თარგამაძე-კირკიტაძე-მერაბიშვილის ჯიბეებში ჩაკუჭულ საქართველოში ან რა მეცხოვრება!



◎ მაშა, მაშა!

## ეჰ, ნიკალაშა, ნიკალაშა!..

### რატომ იყვნენ რევოლუციამდელი მეფეები სუსტები, თავიანთი უნდილობით სისხლისღვრის გამომწვევნი და რითი სჯობს ფარშავანგს გუგული და მამალი

*ცხადია, ვარდების, ანუ ნოემბრის რევოლუციამდელებზე არ მოგახსენებთ, მეოცე საუკუნის ოქტომბრის რევოლუციამდელ მეფეზე ვიტყვი ორიოდ სიტყვას, ვისზეც ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემაც ილაპარაკა ახლახან პარლამენტში.*

*თუმცა, ჯერ ამ წერილის სათაურის „წარმომავლობის“ შესახებ.*

მეოცე საუკუნის დასაწყისში რევოლუციონერ სტალინს თბილისის ძველ უბანში რუსის ჯარისკაცები მისდევდნენ თურმე. სოსოს ხაბაზებთან შეუსწრია. ხაბაზებს სოსო უმალ შეუმოსავთ თავიანთი ტანსაცმლით, ფქვილითაც შეუფიფქავთ..

ჯარისკაცები რომ შემოცვენილან, ხაბაზები ხელგაშლით შეხვედრიან, ცხელ-ცხელი ლავაში, ყველი, მწვანილი და კახური ღვინო შეუთავაზებიათ. თვითონ სტალინი უვსებდა თურმე პირთამდე ფიალებს.

გამომტყვრალი სალდათები „ბოჟე ცარია ხრანი“ სიმღერით გაბანცალებულან ქუჩაში.

**— ეჰ, ნიკალაშა, ნიკალაშა, რა იოლად სამართავი ხალხი გყავს და როგორ ვერ ახერხებ ამასო,** — ჩაულაპარაკებია მაშინ სტალინს.

იმ უნდილმა ვერც მერე ივარგა. თავის დროზე ვერ მოუგრიხა კისერი ავანტიურისტებს, დაჰყვე მათს ნებას, გადადგა ტახტიდან, ხელისუფლების სათავეში მოსულმა ბოლშევიკებმა კი მეფის ოჯახიც ამოჟუჟეს და, საერთოდ, სისხლის მდინარეებიც დააყენეს.

ჩვენი უდრეკი პარლამენტის თავმჯდომარის ამ სიტყვებს რომ ვუსმენდი, ტანში სულ ჟრუანტელი მივლიდა!

მართლაც, რას გადავრჩენილვართ, ხალხო!

იმ ნიკოლოზასავით უნდილი და უხერხემლო ხელისუფლება რომ გვყოლოდა!!!

გახსენებაც არ მინდა!!!

ყიყინებენ, აჩმახებენ, ახურებენ ახლა ზოგიერთები — რა საჭირო იყოო წყლის ბრანდსპოიტიო, რეზინის კომბლებიო (ასე თქვა პრეზიდენტმაძ, პლასტმასის ტყვიებიო, ცრემლსადენი გაზიო, ხალხის ასე უმოწყალოდ დარბევაო...

არა, ბიჭო და, ეგ ვითომ მშვიდობიანი ფარშავანგები (ესეც პრეზიდენტის შეფასებააძთავისით დაიშლებოდნენ!

ან იმას რომ გაიძახიან, ტელეკომპანია „იმედი“ რად დახურესო, რაო, არ უნდა დაერბიათ?

**აბა, ხალხს ყოველდღე და ყოველწამს რომ მოუწოდებდა, ეს ხელისუფლება არ ვარგაო, და ამის დასადასტურებლად სათანადო კადრებსაც რომ აჩვენებდა, კარგი იყო?**

რაო? თავის დროზე „რუსთავი-2“-იც იგივეს არ აკეთებდაო?

ღმერთო ჩემო, რას არ გაიგებ! მაშინდელ და ახლანდელ დროს, მაშინდელ და ამჟამინდელ ხელისუფლებებს ადარებთ ერთმანეთს?

ჩვენ რომ ახლა ღვთის წყალობით ხელისუფლება და საპარლამენტო უმრავლესობა გვყავს!..

ის მაინც რა იყო, „იმედის“ დარბევისას ერთ წაქცეულ კაცს ხუთი თუ ექვსი ყვითელლაბადიანი პატრულის მუშაკი თუ სპეცრაზმელი გამეტებით რომ სცემდა ხელკეტებითა და წიხლებით და იმ უბედურს ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი და ერთი მამაკაციც რომ არ გადაფარებოდნენ, მარტო ფეხი მოსტყდებოდა კი არა, სულიც გაძვრებოდაო, მაინც თავისას არ იშლიან მავანნი!

თანაც, ხალხი ხომ დაშალეს, გაქცეულებს სადარბაზოებშიც რას მისდევდნენ საცემრად, ცრემლსადენ გაზს რას უშვებდნენ დილოში, ასეთი სისასტიკე რა საჭირო იყოო, დასძენენ!

ჯარში მაინც არ გიმსახურიათ, ხალხო? ბრძანებას, თუნდაც უმართებულოს, რომ შესრულება უნდა, არ იცით? ამას „პაწა“ ინიციატივა-თვითშემოქმედებაც ემატება და...

თუმცა მეც ვარ, რა! რაც უნდა ვილაპარაკო, გავაგებინებ რამეს იმ ფარშავანგთა მხარდამჭერ ამ დანარჩენ ფარშავანგებს?

**თანაც ჩვენი დღევანდელი ხელისუფალი ის უხერხემლო და უნდილი ნიკალაშა ხომ არ ჰგონია ვინმეს?**

ქვეყნის მეორე პირიც რომ მაგარზე უმაგრესი გვყოლია ქართველებს?

**ფანჯრიდან წარბშეუხრელად უყურებდა ფარშავანგთა დარბევას ეს ჩემზე ბრძენი და გაწონასწორებული ქალიო,** — აღნიშნა მისით აღტაცებულმა პრეზიდენტმა შაბათს ბიზნესმენებთან შეხვედრაზე.

მანამდე კი, პარასკევს, პარლამენტში როგორ შეასხა ქართველმა „ტეტჩერმა“ ხოტბა ჩვენს ამჟამინდელ უმაღლეს ხელისუფალს, ვინც თურმე ნიკოლოზ მეორესავით უნდილი კი არ გამოდგა, და სისხლის მდინარეებისგან გვიხსნა, კარგად ვიცით!

...ფარშევანგი ერთობ ლამაზი ფრინველი რომ არის, მით უფრო, თუ კუდისა და ფრთის გაშლა მოასწრო, ფაქტია.

მაგრამ იმის ჩიტი ვინ არის დღევანდელ ხელისუფლებაში, „ფარშავანგებს“ ფრთა-მხრები გააშლევინოს!

**თანაც დღეს უფრო ერთმანეთისთვის ხოტბის შემსხმელი გუგული და მამალი ფასობს!**

მაშა, მაშა!

**რუსლან რუსია**

◎ გულის ბუხარი

## აწი დამიჭირეთ, დამხვრიტეთ და ჩემი სისხლიც დალიეთ, თუ გინდათ!

(მეხუთე გვერდიდან)

მერე, მერე რაც მოხდა, ამაზე თქმა არ მინდა. მე იმ დღეს არა რუსისგან, არა გადამთიელისგან, ვიღაც ბარბაროსისგან კი არა, ჩემი თანამემამულისაგან მომხვდა რეზინის ტყვია, რომელიც ნამდვილ ტყვიაზე ასჯერ მომაკვდინებელია ჩემთვის.

ეს რა პოლიცია, ჯარი თუ რაღაც გაგიწვრთნია. დედამიწაზე არსებულ ყველა ჯალათზე უფრო ალგზნებული დასდევდა საკუთარ დედებსა და მამებს, დებსა და ძმებს, შვილებს ქუჩაში, სადარბაზოებში. ქალებმა და კაცებმა, ხანდაზმულებმა და ახალგაზრდებმაც ქაშუეთის ეზოში სცადეს თავის შეფარება. იქაც მისდიეს ლტოლვილთ, რუსთაველის პარალელურ ქუჩებშიც შეჰყვნენ. მე რიყეზე არ ვყოფილვარ, არც ავლაბარში, მაგრამ იქაც ხომ ისეთი ამბავი დაატრიალეს, დიდხანს ვერ დაივიწყებს ჭკუათმყოფელი ადამიანი.

გუშინ ჩემმა ერთადერთმა შვილმა, სხვა მილიონთა ბედის თანაზიარმა, საკუთარი ოჯახის გადასარჩენად საზღვარგარეთ გადახვეწილმა, აღშფოთებულმა დამირეკა, მართალია ეს არ მოხდება, მაგრამ „ვარდების ხელისუფლებამ“ რომც დააპიროს ჩვენი უკან დაბრუნება, გასვრილ, შეურაცხყოფილ და ღირსებაშელახულ ქვეყანაში არ დავბრუნდებითო.

**თუ გინდათ დამიჭირეთ, დამხვრიტეთ კიდეც არა მარტო იმ რეზინის ტყვიით და ჯალათური სისასტიკით...**

**საკუთარ ხალხთან დიდ ომში გამარჯვებულ ბოკერია-თარგამაძე-კირკიტაძე-მერაბიშვილის ჯიბეებში ჩაკუჭულ საქართველოში ან რა მეცხოვრება!**

რაზეა ლაპარაკი, რომელი აფხაზი ან ცხინვალელი ისურვებს ასეთ ძალადობრივ სახელმწიფოში ცხოვრებას, მსოფლიოშიც ხომ დაგვასამარეს, ასეთი დიდი დემოგრაფიული საფრთხის წინაშე მყოფ ჩვენს პატარა ქვეყანას ისეთი რამ დამართეს, რომლის იარას ალბათ ვერაფერი მოარჩენს.

მაშასადამე, იმედი თავის დიქტატორით ვარდოსნებო, ამ ერთი მუჭა ქვეყანაში, რომელიც უკვე ისედაც გაგვიყიდა ზენდუქიძე-არველაძემ, რომელიც ქართველმა კატკოვმა — ლომაიამ სულიერად და მორალურად გააკოტრა. ქართული ნიჭი და გენი თავისი სამეცნიერო პოტენციალით, უცხოეთში გახიზნა. დაიძინებ იმასაც მოველწროთ, რომ სხვა ხალხები დაეპატრონებიან საქართველოს.

მაგრამ რა ვუყო პოეტის სიტყვებს — არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და...

**გივი ჯახუა**



*P. S. მინდოდა გვარის ქვეშ მომეწერა, ყოფილი მეტალურგი (რომელიც ასე ამაყად ჟღერდა ერთ დროს ჩვენს ქვეყანაშიძ, მწერალი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, რუსთავის დემოგრაფიული საზოგადოების ყოფილი თავმჯდომარე, ქვემო ქართლის მწერალთა ასოციაცია „რუსთაველის“ თავმჯდომარე, ლიტერატურული გაზეთის „სამშვილდეს“ მთავარი რედაქტორი, ერთ დროს საზოგადო მოღვაწედ წოდებული... მაგრამ რა აზრი აქვს, პრეზიდენტმა ისეთი ადამიანები, ერის სათაყვანო შემოქმედნი ჩარეცხა უნიტაზში, მათთან მე რა სახსენებელი ვარ.*

*გ. ჯ.*

◎ ინფორმაცია

## სახელმწიფო ბიუჯეტიდან იანვარ-ოქტომბერში 3 მლრდ 939 მლნ 200 ათასი ლარი დაიხარჯა

**სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა წლეულს იანვარ-ოქტომბერში 3 მლრდ 939 მლნ 200 ათასი ლარი შეადგინა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სფერო 705 მლნ 300 ათასი ლარით დაფინანსდა, მათ შორის სახელმწიფო პენსიები, სახელმწიფო კომპენსაციები და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიები — 399 მლნ 200 ათასი ლარით; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები — 119 მლნ 500 ათასი ლარით; სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია — 30 მლნ 400 ათასი ლარით; სოციალური შეღავათების მონეტიზაციის პროგრამა — 20 მლნ 600 ათასი ლარით; სოციალური დახმარებების პროგრამა — 66 მლნ 400 ათასი ლარით; სხვა ხარჯები — 69 მლნ 200 ათასი ლარით.**

**საანგარიშო პერიოდში ენერგეტიკის სამინისტრომ 203 მლნ 400 ათას ლარი დახარჯა. მათ შორის ელექტროენერგიით და ბუნებრივი აირით მომარაგების უზრუნველყოფისა და ტარიფების შენარჩუნების ღონისძიებებს 100 მლნ 200 ათასი ლარი, ხოლო სარეაბილიტაციო ღონისძიებებს — 65 მლნ 500 ათასი ლარი მოხმარდა.**

**საგზაო ინფრასტრუქტურას, მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბერში, 194 მლნ 500 ათასი ლარი მოხმარდა, მათ შორის, გზების შეკეთებაზე და რეაბილიტაციაზე 154 მლნ 200 ათასი ლარი დაიხარჯა, საიდანაც წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდას 2 მლნ 400 ათასი ლარი მოხმარდა. გარდა ამისა, აღმოსავლეთ დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალზე — 13 მლნ 700 ათასი ლარი; ხოლო შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტზე — 18 მლნ 700 ათასი ლარი დაიხარჯა.**

**საანგარიშო პერიოდში განათლების სფეროსთვის 324 მლნ 900 ათასი ლარი გაიხარჯა, საიდანაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის (ვაუჩერიზაციის პროგრამა) — 162 მლნ 300 ათასი ლარი; სასწავლო დაწესებულებების რეაბილიტაციისთვის — 86 მლნ 700 ათასი ლარი; სამეცნიერო კვლევების პროგრამისთვის — 17 მლნ 400 ათასი ლარი; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელშეწყობის პროგრამისთვის - 26 მლნ 500 ათასი ლარი; ხოლო სხვა ხარჯებისთვის — 32 მლნ ლარი იქნა ათვისებული.**

**კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ 64 მლნ 700 ათასი ლარი გახარჯა, მათ შორის საპრეზიდენტო პროგრამებს — 30 მლნ 400 ათასი ლარი; სახელოვნებო პროგრამებს — 18 მლნ ლარი; კულტურული მემკვიდრეობის პროგრამებს 6 მლნ 600 ათასი ლარი მოხმარდა.**

**იანვარ-ოქტომბერში იუსტიციის სამინისტრომ 103 მლნ 400 ათასი ლარი დახარჯა, მათ შორის სასჯელაღსრულების დაწესებულებების ფინანსურ უზრუნველყოფას და მათ რეაბილიტაციას — 72 მლნ ლარი, ხოლო სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს — 6 მლნ 900 ათასი ლარი მოხმარდა.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 217. სამშაბათი, 13 ნოემბერი, 2007 წელი.

**თუ ხალხის დამორჩილება გინდა, მას წარსული და ტრადიციები, ანუ საკუთარი თავი უნდა დაავიწყო. ამიტომ დაიწყეს საქართველოს ისტორიის ათვლა 2003 წლის ნოემბრიდან, შემდეგ კი მთელი გაქანებით – ამერიკული ღირებულებებისა და პოსტულატების გაშმაგებით დანერგვა**




განსჯა

# ფერადი კოშმარული სიზმრები

**ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ჩვენი, საქართველოს მეგობარია. მაგრამ, ამავე დროს, ასევე ცნობილია გამოთქმაც, ღმერთო, მიხსენ ჩემი მეგობრებისგან, მტრებს კი თანაც გავუსწორდებიო. ეს სენტენცია უფრო ხშირად მაშინაა ძალაში, როცა საქმე ეხება „მეგობრობას“ სახელმწიფოებს შორის.**

დიდსა და უძლავრეს სახელმწიფოს – აშშ-სა და მისგან 10 ათასი კილომეტრის მანძილზე მდებარე პატარა და, სამწუხაროდ, ჯერჯეროობით სუსტ (ეკონომიკური მდგომარეობა, საზოგადოებრივი დაქსაქსულობა და ა. შ.) საქართველოს შორის „მეგობრობის“ ნამდვილი მიზეზი ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს. ცივი ომის შემდეგ, როცა ვაშინგტონი ლათინური ამერიკის ნებისმიერ დიქტატორულ რეჟიმთან თანამშრომლობდა, ოღონდ კონტინენტი კომუნისტური საფრთხისგან დაეცვა, ახლა სხვა პრიორიტეტებია აქტუალური: რაც შეიძლება შეზღუდოს მისთვის დღესაც ჯერჯეროობით მთავარი საფრთხე – რუსეთი. ამას ემსახურება რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგების გეგმა აღმოსავლეთ ევროპაში და, რაც მთავარია, ე. წ. „ახალი ევროპის“ მოდელი, რომელიც ჩვენში „ფერადი რევოლუციების“ სახელით არის ცნობილი.

ეს ფერადი პროგრამა, რომლის მონაწილენი თუ მსხვერპლნი ჩვენც გავხდით, თვით რუსეთის „ვოტჩინას“, შუა აზიის ქვეყნებსაც მოიცავდა. ფერადი რევოლუციების მთავარი დანიშნულება მეტისმეტად ტრივიალური და მეტისმეტად ნათელი იყო – რუსეთის საზღვრების მთელ პერიმეტრზე მყოფ მეზობელ ქვეყნებში მათთვის მისაღები და „მეგობარი“ რეჟიმები დაესვათ. ბალტიისპირეთზე ლაპარაკიც არ ღირს, ისინი ნატოსა და ევროკავშირის წევრები არიან. მათი დამოკიდებულებაც რუსეთთან კომენტარს არ საჭიროებს. ერთ ხანს ამერიკელებისთვის ენდრიუ ჯეკსონის გეგმა ლამის რეალობად იქცა: პოლონეთში ძმებ კაჩინსკებს ამერიკა აზოდებდათ, უკრაინაში იუშჩენკო ლოცულობდა მათზე, საქართველოში აშშ-ის ადმინისტრაციის რომელიმე მოხელის წარბის აწევა ჩვენი ხელისუფლების „სმირნაზე“ დადგომას იწვევდა და იწვევს...

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამერიკული სტანდარტები სხვა ქვეყნებისათვის, რომელიც ერთ თარგზე შეკერილ უნიფორმას ჰგავს, ერთჯერადი მოხმარებისა ხდება მაშინ, როცა საქმე ქვეყნის თავისებურებებს, ტრადიციებს ეხება. როგორ შეიძლება ერთი და იგივე თარგი მიუყენო საქართველოსა და ყირგიზეთს, უკრაინასა და უზბეკეთს? მაგრამ ასეთი „უმნიშვნელო ნიუანსები“ აშშ-სთვის, რომელიც თვითონ სხვადასხვა ერის კონგლომეტრია, ალბათ, ანგარიშში ჩასათვლელი არ ყოფილა. შედეგად კი ის მოხდა, რომ ამერიკული ფერად-ფერადი „ბლიცკრიგი“ ჩაიფუშა და ამ უმდიდრეს, თანამედროვე დემოკრატიის მშობელ ზესახელმწიფოს გაცილებით ნაკლები მომხრე დარჩა იმ ქვეყნებში, სადაც ექსპერიმენტებს ატარებდა. ის, რასაც თავის ქვეყანაში წარმატებით ახერხებს, ანუ სხვადასხვა ეროვნების ადამიანების ნიველირებას ერთ ამერიკელ ხალხად, უცხო ტერიტორიებზე შეუძლებელი აღმოჩნდა. ძმებმა კაჩინსკებმა გრიალით წააგეს საპარლამენტო არჩევნები პოლონეთში; უკრაინაში იულია ტიმოშენკოს ხელოვნური ნაწნავი სარეკლამო ბუტაფორია ღმოჩნდა და ქვეყანა კინაღამ ორად გაიყო „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემდეგ; საქართველოში კი რაც მოხდა, ყველამ იცით – ეკლები ვარდის სურნელის სანაცვლოდ.

შუა აზია კი ამჟამად წაშლილია ამერიკის სტრატეგიული რუკიდან. ყირგიზეთში „ტიტების რევოლუციის“ ნარჩენებიც არ დარჩა, უზბეკეთში ქარიმოვს პოლიტიკური სიმამაცე ძალიან უმადურად „დაუფასეს“ ამერიკელებმა. უზბეკეთის პრეზიდენტი აშკარად პროამერიკულ „სუუამში“ გაერთიანდა და საკუთარ ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ბაზა გახსნა რუსეთის გულის გასახეთქად. მაგრამ ოკეანისგაღმელებმა მეტი მოინდომეს და რადგან ანდიჟანის მოვლენები ტაშკენტს ვერ მიწვდა (იგი სასტიკად ჩაახშო ქარიმოვმაძ, და პრეზიდენტ შევარდნაძესავით ვერ გადააყენეს, მაღალ დონეზე და ოფიციალურად ატრიალეს ათას ბრუნვაში. შედეგად დაკარგეს უზბეკეთის ხელმძღვანელის კეთილგანწყობაც და ის სტრატეგიული სამხედრო ბაზაც ავღანეთის მეზობლად.

ენდრიუ ჯეკსონის გეგმა ყალბ ნიადაგზე იყო დაფუძნებული, თუმცა კი – კარგად მომზადებული. წინასწარ სხვადასხვა ქვეყანაში შეარჩიეს და გაწვრთნეს ხალხი, რომელიც სავსებით ჩაეწერებოდა ამერიკულ გეგმაში, ანუ უსიტყვოდ ყველაფერში დაუჭერდა მხარს. მაკიაველის წაკითხვა არ არის საჭირო, რომ იცოდე: თუ ხალხის დამორჩილება გინდა, მას წარსული და ტრადიციები, ანუ საკუთარი თავი უნდა დაავიწყო. ამიტომ დაიწყეს საქართველოს ისტორიის ათვლა 2003 წლის ნოემბრიდან, შემდეგ კი მთელი გაქანებით – ამერიკული ღირებულებებისა და პოსტულატების გაშმაგებით დანერგვა, ოღონდ, ფრაგმენტულად და დამახინჯებულად, ანუ იმ ფორმით, რაც ამერიკაშიც მიუღებელია, მაგრამ პირადად აძლევდათ ხელს ჩვენს „ვარდოსნებს“. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ამერიკაში რომ იგივე მომხდარიყო, რაც აქ ხდებოდა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში – ხელისუფლების კორუმპირებულობასა და თავგასულობას ვგულისხმობ – თოთხმეტი ნამდვილი რევოლუცია მოეწყობოდა იმ დემოკრატიის ციტადელში. სამწუხაროდ, ამერიკული დემოკრატია ორგვარი ყოფილა – შინა მოხმარების და – საგარეო, რისი მწარე ნაყოფიც ბოლომდე ვიგემეთ. სამწუხაროა, რომ იმ ამერიკულ სიაში, რომლის წევრებსაც მათთვის ხელსაყრელი რევოლუცია უნდა მოეხდინათ, დღევანდელ ოპოზიციონერებსაც ეკავათ მაღალ-მაღალი ადგილები, თუმცა იმათავითვე, გინდაც ერთი წლით ადრე ნათელი იყო, რომ საქმე სრულებით არ გვქონდა საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრების მცდელობასთან, უბრალოდ, ხელისუფლების ძალისმიერი, ანუ ყველაზე ეფექტური მეთოდით გაძევება იდგა დღის წესრიგში შეუზღუდავი ძალაუფლების დასამყარებლად.

ამერიკულმა „ვარდებმა“ ყველაზე მეტხანს, ალბათ, იმიტომ გაძლო, რომ შუა აზიაში მათი პოლიტიკის ჩაფლავებას და უკრაინაში განცდილ მარცხს ავღანეთის სიძნელეები და ერაყული ჭაობი დაემატა. და ჯორჯ ბუშს, ფაქტობრივად, პრეზიდენტობის პირველ ეტაპზე მიღწეული პირდაპირ გამაოგნებელი წარმატების შემდეგ (ფერადი რევოლუციები, ამერიკული ჯარი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, თალიბების განდევნა, ერაყის აღება სამ კვირაში...ძ, საბოლოოდ და სანუგეშოდ რქები და ჩლიქები – „ვარდების რევოლუცია“ დარჩა. ამიტომ გრძნობდა თავს კომფორტულად საქართველოს ხელისუფლება იმის მიუხედავად, რომ ვაშინგტონში კარგად იცოდნენ , რომ ჩვენთან რაღაც ისე არ იყო საქმე, როგორც უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამერიკული სიჩუმე, ანუ წაყრუების პოლიტიკა 2 ნოემბრის გრანდიოზულმა მიტინგმა დაარღვია. ხალხის შელახული ღირსებისა და სოციალური უსამართლობის გამოძახილი იმდენად მძაფრი და თვალსაჩინო იყო, რაც 7 ნოემბრის დარბევამ კიდევ უფრო გაამწვავა, რომ მიხეილ სააკაშვილის ძალიან მოულოდნელ განცხადებაში 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ, ამრიკული კვალი უნდა ამოვიცნოთ. თუნდაც აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების ფაქტორი, რომელიც სწორედ მომავალი წლის შემოდგომაზე უნდა გაიმართოს, აგრეთვე იმის შიში, რომ გაზაფხულზე საპარლამენტო არჩევნებში მარცხის შემდეგ, თუკი იგი მაინც გაიმართებოდა, მიხეილ სააკაშვილი უდიდესი დილემის წინაშე აღმოჩნდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ამას მოწმობდა არა მარტო ოპოზიციის, არამედ უმრავლესობის წევრთა გაოგნებული სახეები ნინო ბურჯანაძის გარდა, რომელიც კიდევ ერთხელ თვენახევრით შეასრულებს ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობას...

* * *

**ამერიკელთან ვმეგობრობდი. მამამისს ერთ დროს აშშ-ს კონგრესში კარგა დიდი პოსტი ეკავა, თვითონ კი აქ დასახლდა და ქართველი ქალი შეირთო ცოლად. მან ძალიან საყურადღებო რამ მითხრა: აქ ჩემი ქვეყნიდან ძირითადად სამი ტიპის ადამიანები ჩამოდიან. პირველი კატეგორია ის ხალხია, ვინც არც ამერიკაში არგია ვინმეს და იძულებულია ასეთ „გადასაკარგავში“ იშოვოს სამუშაო; მეორე კატეგორიაა კარიერისტები – აი, ასეთ „ცხელ წერტილში“, საქართველოში გავძელი ამდენ ხანსო და სამშობლოში დაბრუნებისას კომპენსაციას ანუ თანამდებობას ითხოვს; მესამე კატეგორია კი ჩემისთანა გიჟი ხალხია, რომელსაც შეუყვარდა ეს ქვეყანა, მისი ხალხი და ტრადიციები და მის ნამდვილ მეგობრად დარჩება სიცოცხლის ბოლომდეო.**

**ჩვენთვის კი სამწუხარო ის არის, რომ დღეს ჩვენი ცხოვრების ბედს წყვეტენ არა ამ მესამე კატეგორიის ადამიანები, არამედ – პირველი ორის...**

**გიორგი ჩოჩიშვილი**

№ 217. სამშაბათი, 13 ნოემბერი, 2007 წელი.

ინფორმაცია

## რამაზ საყვარელიძე: საპრეზიდენტო არჩევნებში თანაბარი შანსები აქვთ

**პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის აზრით, ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატსა და საქართველოს მოქმედ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს 2008 წლის 5 იანვრის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში თანაბარი შანსები ექნებათ.**



**როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ რამაზ საყვარელიძემ განუცხადა, 5 იანვრის არჩევნების შედეგები ძნელად პროგნოზირებადი იქნება.**

**საყვარელიძის თქმით, ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა უარყოფითი ზეგავლენა იქონია საქართველოს პრეზიდენტის რეიტინგზე, თუმცა იმისათვის, რომ ოპოზიციამ სააკაშვილს მოუგოს, საარჩევნო კამპანიის წარმოებისათვის ცოტა დრო რჩება.**

**„2008 წლის 5 იანვრის არჩევნები, ეს ის არჩევნებია, სადაც პროგნოზის გაკეთება რთული იქნება. დრო, რომელიც არჩევნებამდე დარჩა, პრეზიდენტის სასარგებლოდ მოქმედებს. ასევე არჩევნების შედეგებზე იმოქმედებს ოპოზიციის ნაკლებად ორგანიზებულობა. ჯერ მათ საკუთარი კანდიდატიც არ ჰყავთ, თუმცა პრეზიდენტ სააკაშვილის საწინააღმდეგოდ იმოქმედებს ის ფაქტორები, რომელსაც ბოლო დღეებში თბილისში ჰქონდა ადგილი. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტისა და ოპოზიციის შანსები თანაბარია, თუმცა რასაკვირველია დიდ მნიშვნელობას იქონიებს ამ ყველა ფაქტორზე ის, თუ ვინ დასახელდება ოპოზიციის საერთო საპრეზიდენტო კანდიდატად“, – განაცხადა „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში რამაზ საყვარელიძემ.**

## „რუსეთი თავის მოქალაქეებს არ მიატოვებს“

**რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე სერგეი მირონოვი საქართველოს ტერიტორიაზე დანიშნულ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებამდე შეიარაღებულ შეტაკებებს არ გამორიცხავს.**



**ეს განცხადება სერგეი მირონოვმა ვლადივოსტოკში 12 ნოემბერს გააკეთა.**

**„თუ ვინმე თავს უფლებას მისცემს და საქართველოში დაგეგმილ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ომს დაიწყებს და სისხლს დაღვრის, მას კარგად უნდა ახსოვდეს ერთი გამონათქვამი – ვინც მახვილს აიღებს მახვილითვე განმიგმირება“, – განაცხადა მირონოვმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეთა დიდი რაოდენობა ცხოვრობს და რუსეთი მათ ბედის ანაბარა არასოდეს დატოვებს.**

**„თავად სიტუაცია, საქართველოში ეს საქართველოს შიდაპოლიტიკური საქმეა და მასში არავინ არასოდეს ჩარეულა და ჩარევას არც აპირებს“, – აცხადებს მირონოვი**

**მისივე თქმით, ხალხი და ოპოზიცია, რომელიც საქართველოს პარლამენტის წინ იდგა, ეს ის ადამიანების არიან რომლებთანაც „მოსკოვს არავითარი კავშირი არა აქვს“.**

ჯი-ეიჩ-ენი

## შალვა ნათელაშვილი გაერთიანებული ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატი არ არის

**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი გაერთიანებული ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატი არ არის.**

**ამის შესახებ გაერთიანებული ოპოზიციის ეროვნული საბჭოს წევრმა კახა კუკავამ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა.**

**მისივე თქმით, გაერთიანებული ოპოზიცია საპრეზიდენტო კანდიდატზე საუბარს ტელეკომპანია „იმედის“ მაუწყებლობის აღდგენის შემდეგ დაიწყებს.**

**საქართველოს ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით, 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში შალვა ნათელაშვილი კენჭს იყრის. პარტიის წევრის ნესტან კირთაძის განცხადებით, თავად ნათელაშვილისგან თანხმობა არ მიუღიათ. სხვა კომენტარს „ლეიბორისტები“არ აკეთებენ.**

**„ლეიბორისტები“ გაერთიანებული ოპოზიციის ეროვნულ საბჭოში შედიან. საბჭო კი ერთიანი კანდიდატის დასახელებას გეგმავს.**

ინტერპრესნიუსი

# დღევანდელობა

გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ქვეყნისათვის ამ საბედისწერო ჟამს მოუხმობთ გონიერებას, აღიარებთ საკუთარ შეცდომებს, ბოდიშს მოუხდით თანამემამულეებს და ამით სათავეს დაუდებთ ეროვნული შენდობისა და შერიგების პროცესს



◉ მიმართვა

# მოგიწოდებთ, დაუყოვნებლივ გააუქმოთ საგანგებო მდგომარეობა

## ღია წერილი საქართველოს პარლამენტს

პატივცემულო პარლამენტის თავმჯდომარევ, პატივცემულო პარლამენტის წევრებო

2007 წლის 7 ნოემბერს მთელმა მსოფლიომ დაინახა, თუ რა არაადამიანური მეთოდებით დაარბია საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარი მოქალაქეები — მოშიმშილეები, მშვიდობიანი მომიტინგეები, თავისუფალი მედია, როგორ მიუშვეს გათოშილ ხალხზე წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი, როგორ დაუშინეს მათ რეზინისა და პლასტიკური ტყვიები, როგორ დასდევდნენ უმწეო მოხუცებსა და ბავშვებს და როგორი გაავფთრებითა და სიძულვილით ურტყამდნენ ხელკეტებს. ამ გულისმომკვლელმა „სანახაობამ" კიდევ ერთხელ გაგვახსენა 1989 წლის 9 აპრილის კოშმარი, თუმცა ამ შემთხვევაში განსხვავება ისაა, რომ ამჟამად ეს შემზარავი ტრაგედია ქართველ ხალხს თავს დაატეხა მის მიერვე არჩეულმა ხელისუფლებამ. არადა, ხელისუფლებას თავისუფლად შეეძლო კონსტრუქციული და არა მოჩვენებითი დიალოგისა და საკუთარ ხალხთან კომპრომისის გზით დაძაბულობის განმუხტვა და პროცესის პოლიტიკურ კალაპოტში წარმართვა.

დღეს შინ თუ გარეთ ყველას მოეხსენება, რომ ხუთი დღე-ღამის განმავლობაში მომიტინგეებს წესრიგი არ დაურღვევიათ, ხოლო აქციის ორგანიზატორთა თუ მონაწილეთა მხრიდან არავინ გამოსულა ანტიკონსტიტუციური განცხადებებით. მიუხედავად ამისა, პოლიციამ და სპეცდანიშნულების რაზმებმა, რომელთა „გმირულ" საქციელს თქვენ მაღალი შეფასება მიეცით და ისინი მხურვალე ტაშითაც დააჯილდოვეთ, 600-ზე მეტ ადამიანს მიაყენეს ფიზიკური ტრავმა. არ დაინდეს თვით საქართველოს სახალხო დამცველი და ჟურნალისტებიც კი. საზოგადოებამ ისიც კარგად დაინახა, თუ ნამდვილად რისთვის სჭირდებოდა ხელისუფლებას შეიარაღებაზე მზარდი დანახარჯის მიზანშეწონილობის ყოველდღიური მტკიცება.

იცოდნენ კი ხალხის დამრბევებმა და ამ ანტიადამიანური ბრძანებების გამცემებმა, რომ რუსთაველის პროსპექტის ის მონაკვეთი, სადაც მიტინგი მიმდინარეობდა, წმიდათაწმიდა ადგილია — აქ 18 წლის წინათ ეროვნული და სახელმწიფოებრივი თავისუფლებისათვის მებრძოლთა უმანკო სისხლი დაიღვარა, აქ განისვენებენ სამშობლოსათვის დაცემული ჩვენი ეროვნული გმირები მარო მაყაშვილი და ქართველი იუნკრები. და თუ იცოდნენ, როგორ მივიდნენ იქ საკუთარი ხალხის დასათრგუნად, როგორ აღმართეს ხელი საკუთარ დებსა და ძმებზე, საკუთარ სისხლსა და ხორცზე?

თუმცა, რაც 2007 წლის 7 ნოემბერს თბილისში მოხდა, შესაძლებელია, არც იყოს გასაკვირი, რამდენადაც ეს სწორედ იმ ხელისუფლებამ ჩაიდინა, ვინც თანამიმდევრულად ყიდის ქართველი ერის კუთვნილებას — მის მიწა-წყალს, ვინც პოლიცია შეუსია ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, დაანგრია მეცნიერებათა აკადემია და სასკოლო-საგანმანათლებლო სისტემა, ვინც განვითარების პერსპექტივას უსპობს ქართულ კულტურას, ვინც ქუჩაში გამოყარა და ამით მათხოვრული არსებობისათვის გაწირა ათეულ ათასობით კვალიფიციური სპეციალისტი, ვინც ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარი აიძულა, ლუკმა-პურის მოსაპოვებლად უცხოეთში გადახვეწილიყო, ხოლო საკუთარ სამშობლოში დარჩენილთ სამოწყალოდ გაღებული ვაუჩერებითა და თითო ტომარა ფქვილით უპირებს გამოზამთრებას და ა. შ. და ა. შ.

ცივილიზებულმა სამყარომ მკაცრი და სამართლიანი შეფასება მისცა საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩადენილ ამ ვანდალურ მოქმედებას. მათ შორის, ნატოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ საქართველოში უკანასკნელ დღეებში მიმდინარე მოვლენები არ შეესაბამება ევროატლანტიკურ ფასეულობებს.

ჩვენ დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ დემოკრატიის უარყოფა და საკუთარი ხალხის ინტერესებისაგან გამიჯვნა იქცევა (შესაძლებელია, უკვე იქცა კიდევაც!) გადაულახავ ბარიერად ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის რთულ და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროცესში. სწორედ ესაა ის პოლიტიკა, რომელიც ჩვენ გაგვრიყავს დასავლეთისაგან, მოკავშირისა და ქომაგის გარეშე დარჩენილ საქართველოს კი საბოლოოდ გადააქცევს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გეოპოლიტიკური ინტერესების სარეალიზაციო ტერიტორიად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოგიწოდებთ, დაუყოვნებლივ მოიწვიოთ პარლამენტის საგანგებო სხდომა და გააუქმოთ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თქვენ მიერვე დამტკიცებული საგანგებო მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ, — ზოგიერთ სხვა გარემოებასთან ერთად, — აღვიქვამთ, როგორც საშუალებას, დაიცვათ თავი საზოგადოების სამართლიანი რისხვისაგან. ამ სხდომაზე უნდა მოისმინოთ საქართველოს სახალხო დამცველის მოხსენება ქვეყანაში შექმნილი ვითარების შესახებ და სამართლებრივი შეფასება მისცეთ 7 ნოემბერს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას.

გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ქვეყნისათვის ამ საბედისწერო ჟამს მოუხმობთ გონიერებას, აღიარებთ საკუთარ შეცდომებს, ბოდიშს მოუხდით თანამემამულეებს და ამით სათავეს დაუდებთ ეროვნული შენდობისა და შერიგების პროცესს. ამასთანავე, იხსნით საშვილიშვილო სირცხვილისაგან არა მარტო საკუთარ სახელს, არამედ საკუთარ შთამომავლობასაც.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ უსათუოდ მოგიწევთ პერსონალური პასუხისმგებლობის აღება იმ არაპროგნოზირებად მოვლენებზე, რომელიც შესაძლებელია ქვეყანაში განვითარდეს და დაასამაროს ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ოცნება ღირსეულ ცხოვრებასა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თავისუფლებაზე.

„ქართული აკადემია"

◉ განათლება

## „სომხური უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საჭიროება არ არის"

**სომხეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადებას, რომ საქართველოში რამდენიმე სომხური სკოლა უნდა შეიქმნას და ასევე იგეგმება სომხური უმაღლესი სასწავლებლის გახსნაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კახა ლომაია გამოეხმაურა. სომხური მხარე მიმდინარე წლის ნოემბერში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ერევანში ელოდებოდა, რაც არ შედგება.**

„სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლის განხსა საქართველოში, სადაც სწავლება სომხურ ენაზე წარიმართება სომხური მხარის თხოვნაა, თუმცა ამის საჭიროება არ არსებობს", — აცხადებს სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან" საუბარში კახა ლომაია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოში 142 სომხური სკოლაა, აქედან 123 მთლიანად სომხური, ხოლო 19 სკოლაში არსებობს სომხური ენისა და ლიტერატურის სექტორი.

„საქართველოში ისტორიულად არსებობს სკოლები, სადაც სწავლების ენა არის სომხური, რომლებსაც უწოდებენ არა სომხურ, არამედ სომხურენოვან სკოლებს. აღნიშნულ სკოლებში სწავლობენ საქართველოს მოქალაქეები, ძირითადად, ეთნიკური სომხები, მაგრამ სხვებიც. სკოლები ჩვეულებრივად ფუნქციონირებენ, ისევე როგორც სხვა დანარჩენი სკოლები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმებით", —აცხადებს კახა ლომაია.

მისი განცხადებით, განათლების სამინისტრო უკვე 2 წელია სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო ენის შეწავლის გაძლიერებული პროგრამა „თავთავი" ხორციელდება, რაც სომხურ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისთვის ტრენინგებს მოიცავს.

„ჩვენი პროგრამა ფინანსური ხელშეწყობით პროექტებს მოიცავს და გულისხმობს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებისთვის მეთოდური დახმარების გაწევას. ეს პროგრამა ამჟამადაც მიმდინარეობს. მის ფარგლებში ქართული და სომხური სკოლის 400-ზე მეტი პედაგოგი გადამზადდა. ჩვენი ამოცანაა, ეთნიკური სომხების სურვილები გავითვალისწინოთ, რომ მათ სწრაფად და ეფექტიანად შეძლონ სახელმწიფო ენის შესწავლა. ამავე დროს, ჩვენი ამოცანაა, მათ არ დაკარგონ მშობლიურ ენასთან, მშობლიურ კულტურასთან კავშირი", — აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენთან" საუბარში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

მისი განმარტებით, სომხეთი გამოთქვამს სურვილს, რომ საქართველოში შეიქმნას უნივერსიტეტი, სადაც სწავლება სომხურ ენაზე იქნება.

„ამ ეტაპზე, ეს საკითხი სამთავრობო გეგმებში შეტანილი არ არის, სავარაუდოდ არც იქნება, რადგან საქართველოში არ არიან იმ დონის სპეციალისტები, ვისაც შეუძლია უმაღლესი სასწავლების საგნების სომხურ ენაზე სწავლება. სკოლის დონეზე ასეთი მასწავლებლები არიან, უმაღლესი განათლების დონეზე კი — არა. ერთადერთი რაც იყო და არის, ეს არის სრულყოფილი პედაგოგიური ინსტიტუტი, ამჟამად ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში, სადაც სომხური ენისა და ლიტერატურის კათედრა არსებობს", — აცხადებს ლომაია.



მისივე თქმით, აღნიშნულ კათედრაზე საქართველოს სომხურენოვანი სკოლებისთვის ამზადებენ სომხური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებს.

„ჩვენ ასეთ სპეციალისტებზე მოთხოვნა გვაქვს და მათი მომზადება გაგრძელდება. საქართველოში იყოს უნივერსიტეტი, სადაც სწავლების ენა სომხური იქნება, ამის რესურსი არ არსებობს და არც ამის მოთხოვნილება დგას რეალურად სომხური წარმომავლობის მოქალაქეების მხრიდან", — აცხადებს მინისტრი.

ლომაიას განცხადებით, მოქალაქეების სურვილია უმაღლესი განათლება მიიღონ იმ ენაზე, რომელიც მათ ამ სახელმწიფოში საცხოვრებლად გამოადგებათ. ასეთი, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ენაა.

„თუ ადამიანები თავის მომავალს სომხეთს უკავშირებენ, რა თქმა უნდა, ასეთებიც არიან, ისინი საცხოვრებლად სომხეთში მიემგზავრებიან, სადაც სომხურ ენაზე უმაღლესი განათლების შესაძლებლობა აქვთ. მათ, ვინც თავის მომავალს საქართველოს უკავშირებს, ჩვენ ვაძლევთ შესაძლებლობას ზოგადი განათლება მშობლიურ ენაზე მიიღონ. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, ისინი საკუთარი სურვილით აკეთებენ არჩევანს დ იღებენ განათლებას იმ ენაზე, რომელიც გამოადგება საკუთარ სამშობლოში — საქართველოში ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად", — აცხადებს მინისტრი კახა ლომაია.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ინფორმაცია

## მოსკოვში აფხაზეთის აღიარების თემა გააქტიურდა

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის შოთა მალაშხიას შეფასებით, ბოლო დღეებში რუსეთში აფხაზეთის აღიარების თემის გააქტიურება ამ ქვეყანაში წინასაარჩევნო პერიოდს უკავშირდება.

მისივე თქმით, არჩევნების წინ რუსეთის ხელისუფლება ქულების მოპოვებას ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების დაწყებით ცდილობდა, ამჟამად კი ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს მიმართ პროვოკაციებს იყენებს.

— ახლა ჩეჩნეთი დამორჩილებული სუბიექტია და მოსკოვი საომარ მოქმედებებს ველარ წამოიწყებს. საქართველო სწორედ ამიტომ აირჩიეს. სწორედ ასეთ პროვოკაციებსა და შესაძლო საფრთხეებს ვგულისხმობდით, როცა ვაცხადებდით, რომ რუსეთში არჩევნების წინაპერიოდში საქართველოში დაბალი პოლიტიკური ტემპერატურა უნდა ყოფილიყო და საქართველოს საპარლამენტო არჩევნები შემოდგომაზე ჩატარებულიყო, — განაცხადა მალაშხიამ.

მალაშხია ვარაუდობს, რომ თუ მოსკოვი ამ მიმართულების პოლიტიკას გააგრძელებს, საერთაშორისო ასპარეზზე სერიოზული პრობლემები შეექმნება.

8 ნოემბერს მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა განაცხადა, რომ „რუსეთმა გაბედული ნაბიჯი უნდა გადადგას და აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიაროს". ანალოგიური ხასიათის განცხადება გააკეთა დუმის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის წევრმა ვიქტორ ალქსნისმაც. აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება ბოლო დღეებში რუსული ტელეკომპანიების თოქ-შოუების მთავარი თემა იყო.

ინტერპრესნიუსი

№ 217. სამშაბათი, 13 ნოემბერი, 2007 წელი.

მოსკოვის გავლენა ძლიერი და დამღუპველია. რუსეთის სპეცსამსახურებს არ სურთ, რომ საქართველო გახდეს დემოკრატიული, თავისუფალი, დამოუკიდებელი ევროპული ქვეყანა. მათი ოცნებაა, რომ საქართველო იყოს სუსტი, შუაზე გახლეჩილი, დამოკიდებული რუსეთზე, რომელიც ყოველთვის უნდა დარჩეს ჩვენი ქვეყნის ერთადერთ პატრონად



## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო და მესამე მსოფლიო ომი

**როგორც ცნობილია, ამ ორიოდე წლის წინათ ამერიკულმა ნეოკონსერვატიულმა მაფიამ, როგორც იქნა შეაღწია საქართველოს ბაზარზე, შეძლო შევარდნაძის რეჟიმის დამხობა. ამ საქმეში მთავარი როლი შეასრულეს თავისუფალმა დემოკრატიულმა მასობრივმა ინფორმაციებმა, განსაკუთრებით კი აქტიურობდა „რუსთავი-2“ – ოპოზიციური ტელეარხი. ყოველივე ამის წყალობით არჩევნებში გაიმარჯვა ამერიკელთა პაიკმა – სააკაშვილმა. რუსეთის გავლენა საქართველოში თვალსა და ხელს შუა მცირდება. თუმცა, პუტინმა, როგორც ეს „სუკ“-ის გამობრძმედილ ვეტერანს შეეფერებოდა, სწრაფად შეძლო რევანშის აღება და საქართველოს მიმართ გამოიყენა ზემოქმედების ეკონომიკური საშუალებები.**

ამჟამად ჩვენ საქმე გვაქვს ამერიკელთა მიერ ნაფერები სააკაშვილის მოქმედებით გამოწვეულ მწვავე რეაქციასთან. პრეზიდენტს უწევს გაუმკლავდეს ოპოზიციონერთა დემონსტრაციებს, რომლებსაც ამჯერად უკვე მხარს უჭერს „რუსთავი-2“ ტელეარხის კონკურენტი – „იმედი“. რა თქმა უნდა, სააკაშვილი ყველაფერში ხედავს რუსეთის აგენტებს და ან ქვეყნიდან ამ ადამიანების დეპორტირების ბრძანებებს გასცემს, ან ნელ-ნელა სვამს მათ საპყრობილეებში. იბადება ასეთი კითხვა: ნეოკონსერვატორთა ამ პაიკის დამხობის მცდელობის უკან ვინ დგას – ამერიკელები თუ რუსეთის დაზვერვა?

თვით საფრანგეთის რევოლუციაც კი ვერ მოხდებოდა, იმდროინდელი მასობრივი ინფორმაციის პრიმიტიული საშუალებები რომ არა. აქ საქმე ინფორმაციის შინაარსში კი არა, მის წყაროშია. ისევე როგორც ამ შემთხვევაში, თუ გულმოდგინედ ვადევნებთ თვალყურს „იმედის“ გადაცემებს. ამ ტელეკომპანიის მფლობელია ყველასთვის კარგად ცნობილი ბადრი პატარკაციშვილი, რუსი ოლიგარქი, რომელიც ამ ქვეყნიდან მიაბრძანა პრეზიდენტმა პუტინმა. გარდა ამისა, პატარკაციშვილი ყველას გასაგონად აცხადებს, რომ მხარს უჭერს ქართულ ოპოზიციას და ძალზე კმაყოფილიცაა თავისი ასეთი ქცევით.

მაგრამ, ამით ყველა კითხვას მაინც არ გაეცა პასუხი, რადგან „იმედის“ თანამფლობელია დიდი ამერიკელი, მემარჯვენე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეფედ წოდებული რუპერტ მერდოკი. იგი თანდათანობით ამყარებს კონტროლს „იმედზე“ და აპირებს მის გამოსყიდვას პატარკაციშვილისგან. სწორედ ამიტომ, უპრიანი იქნება, თუ რამდენიმე ჰიპოთეზასაც განვიხილავდით.

1. პატარკაციშვილი არ არის პუტინის აგენტი. იგი, უბრალოდ, კარგი ბიზნესმენია.

თუ აბრამოვიჩი ინვესტიციებს აბანდებს ინგლისურ „ჩელსიში“ და ფეხბურთში, პატარკაციშვილი ამას აკეთებს ქართულ ოპოზიციაში, თანაც ისე, როგორც იტყვიან, გასართობად, ყოველგვარი პოლიტიკური ქვეტექსტის გარეშე, მხოლოდ დემოკრატიის სიყვარულით. მერდოკმა ჩაიგდო ხელში ბაზარი, რათა საქართველოში საბოლოოდ გაიმარჯვოს პროამერიკულმა მხარემ. პატარკაციშვილი კი მონაწილეობს ოპოზიციის საპროტესტო აქციებში და ცდილობს, რომ ასეთ რთულ სიტუაციაში გაზარდოს თავისი საკუთრების ფასი.

2. პატარკაციშვილი ყოველთვის იყო პუტინის აგენტი, იმის მიუხედავადაც კი, იგი ოფიციალურად განდევნეს რუსეთიდან.

ვისაც უმუშავია სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში, იგი იქედან არ წამოსულა, ან თუ მომხდარა კიდეც ასეთი რამ, მაშინ ეს ადამიანი ამქვეყნიდანაც წასულა. დაღუპვამდე მცირე ხნით ადრე ლიტვინენკო ლონდონში შეხვდა ლუგოვოის. „რუსთავი-2“ ტელეარხმა მაშინათვე გადასცა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პატარკაციშვილი დაკავშირებული იყო ლუგოვოისთან, მაშინ, როცა „იმედს“ დიდი ინტერესი არ გამოუჩენია ამ საკითხის მიმართ. იქნებ, ამ ადამიანებს მხოლოდ არაყი გადაუკრავთ ერთად... მაგრამ, დავუბრუნდეთ ჰიპოთეზას, რომ პატარკაციშვილი არის პუტინის იმპერიის კიდევ ერთი მეტასტაზი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ იგი ეწევა დიდ ბიზნესს აშკარად პროამერიკული რუპორით, რომელსაც ამ შემთხვევაში წარმოადგენს მერდოკი.

თუ ყველაფერი ასეა, აქედან შემდეგი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: ამერიკა და რუსეთი შეთანხმებულად მოქმედებენ.

ამით შეიძლება ავხსნათ ასევე რადეკის, ამერიკელი აგენტის დაბრუნება დონეკის (დონალდ ტუსკისძ პროგერმანულ-პრორუსულ მთავრობაში. ამითვე აიხსნება ისიც, რომ მოეწერა ხელი რეფორმაციულ ტრაქტატს, რომელიც აიოლებს სუპერ-ევროკავშირის შექმნას. ეს კი ნიშნავს, რომ ომი დასრულდა, და ახლა უნდა ვემზადოთ ახალი, გაუმჯობესებული იალტისთვის.

ასეთ შემთხვევაში ყველაფერი ნათელია: მესამე მსოფლიო ომის ნაცვლად მივიღებთ მსოფლიო მთავრობას. იგი კი მოუღებს ბოლოს სამოქალაქო ომს. ნებისმიერ შემთხვევაში მოგებული ნეოკონსერვატორები დარჩებიან. იქნებ, შეკრან კიდეც კავშირი პუტინთან და დაამხონ სააკაშვილი. ვინ უწყის? როგორც ისტორია გვასწავლის, გაკოტრებული სახელმწიფოები იწყებენ ხოლმე ომს. ერთი რამ კი ცხადია: ერაყის ომი ძალზე მცირეა თავისი მასშტაბით იმისთვის, რომ ამერიკელებმა შეძლონ თავიანთი შერყეული პოზიციების განმტკიცება.

Salon24

(პოლონეთი)

# ვარდები და რეალობა

**საქართველოს, ერთ-ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას, ამჟამად საკმაოდ მძიმე, მაგრამ მნიშვნელოვანი დღეები დაუდგა. როგორც გაირკვა, ფსონშია ჩასული ერთბაშად რამდენიმე რამ: ასეთი დიდი შრომის შედეგად მოპოვებული დემოკრატიის ბედი, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ერთ დროს ბრწყინვალე რეპუტაციაც.**

ასეთი მოულოდნელი კრიზისის მთავარი ბრალეული პირი თვით სააკაშვილია. ოთხშაბათს მან უღალატა დემოკრატიული „ვარდების რევოლუციის“ სულისკვეთებას, რომლის წყალობითაც ოთხი წლის წინათ მივიდა კიდეც ხელისუფლების სათავეში: სააკაშვილმა სახელმწიფოში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, შეაჩერა სამოქალაქო თავისუფლებათა მოქმედება, დახურა უმნიშვნელოვანესი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და პოლიციას უბრძანა, რომ ძალის გამოყენებით გაეფანტა ოპოზიციონერთა დემონსტრაციები.

ერთი დღის შემდეგ კი, როგორც ქვეყნის შიგნიდან, ისე საერთაშორისო გაერთიანების მხრიდან ინტენსიური ზემოქმედების წყალობით, სააკაშვილი დათანხმდა ვადამდელი პრეზიდენტის არჩევნების გამართვას იანვარში, რითაც, პრინციპში, დააკმაყოფილა კიდეც ოპოზიციონერთა ერთ-ერთი მოთხოვნა. ის, რომ სააკაშვილი დათმობას დათანხმდა, უკვე კარგია, მაგრამ დემოკრატია საქართველოში დაბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში აღდგება ყველა სამოქალაქო უფლება და ოპოზიციის კანდიდატებს მიეცემათ აგიტაციის წარმართვის რეალური შესაძლებლობა.

სულაც არ არის გასაკვირი, რომ დემოკრატიული გზა საქართველოში გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ეს ეგონა ზოგიერთ დასავლელ ოპტიმისტს მაშინ, როცა საქართველოს მიესალმებოდნენ როგორც იმ „ფერადი რევოლუციების“ პირველ ქვეყანას, რომლებმაც დაამხეს ავტორიტარული რეჟიმები პოსტსაბჭოთ საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში. ყველა ის პირი, ვინც ამ რესპუბლიკებს მართავდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ღრმად იყო ჩაფლული კორუფციის ჭაობში; საქართველოში თითქმის სამოცდაათი წელი გაბატონებული იყო საბჭოთა ხელისუფლება; და ბოლოს, მოსკოვი დღესაც თითქმის ყოველდღიურად არღვევს ამ ქვეყნის სუვერენიტეტს, კვლავ უმაგრებს ზურგს აფხაზ და ოს სეპარატისტებს.

სააკაშვილის მმართველობის წლებში უფრო წარმატებით გაჩაღდა ბრძოლა კორუფციის, რუსეთის გავლენის წინააღმდეგ, აგრეთვე ქვეყანაში სამოქალაქო უფლებების დამყარებისთვის.



თუმცა, ამ ადამიანის მისამართით ხშირად გაისმოდა საყვედურები ეგრეთ წოდებული „პრევენციული დაპატიმრებების“, პატიმრების მიმართ ძალადობის გამო, აგრეთვე იმისთვის, რომ მისთვის მიუღებელი იყო ყოველგვარი კრიტიკა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან.

დღეს ვაშინგტონში სააკაშვილს თითქმის გმირადაც კი მიიჩნევენ, რადგან იგი საჯაროდ უჭერს მხარს თავისუფალ ბაზარს, ამერიკელთა საგარეო პოლიტიკას და მზად არის მკაცრად გაილაშქროს საქართველოს საშინაო საქმეებში რუსეთის ჩარევის წინააღმდეგ. ეს კი ნიშნავს, რომ ბუშის მთავრობას აქვს იმის ყველა შესაძლებლობა, და უფრო მეტიც – ვალდებულებაც კი, რომ მოითხოვოს საქართველოში სამოქალაქო თავისუფლებათა სასწრაფო აღდგენა და მომავალი წლის იანვრისთვის ქვეყანაში სამართლიანი და თავისუფალი პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების გამართვა.

The New York Times

# ერთი შეკითხვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს გელა ბეჟუაშვილს

**– როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, რით უპასუხებდით კრიტიკას საზღვარგარეთის ქვეყნების მხრიდან იმის გამო, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა შემოიღო საგანგებო მდგომარეობა?**

– ჩვენ ვიღებთ კრიტიკას დემოკრატიული ქვეყნებისგან, მაგრამ – არა რუსეთისგან, როცა იქ იწყებენ ლაპარაკს ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ. დემოკრატიული ქვეყნები კითხვებს სვამენ საქმესთან დაკავშირებით: რა გახდა საქართველოში საგანგებო მდგომარეობის შემოღების ან ტელეარხების დახურვის მიზეზი? მაგრამ ისინი მაინც არ იცნობენ ქართულ რეალობას.

ჩვენ ავწონ-დავწონეთ ყოველგვარი რისკი, ფხიზლად შევაფასეთ ვითარება, ვიცოდით, რომ ასეთი ღონისძიებები არ იქნებოდა პოპულარული. მაგრამ მაინც გადავდგით ეს ნაბიჯი იმიტომ, რომ ოპოზიციონერთა გამოსვლების ზოგიერთი ორგანიზატორისა და სპონსორის მხრიდან გაისმოდა საქართველოში „ფაშისტური რეჟიმის“ დამხობის მოწოდებები. ჩვენ ასევე ვიცოდით, რომ ამ ოპერაციაში გარეული იყვნენ რუსეთის სპეცსამსახურები, კრემლის პროპაგანდას განუწყვეტლივ გადასცემდა ეთერით ერთ-ერთი ტელეარხი („იმედი“ძ.

მოსკოვის გავლენა ძლიერი და დამღუპველია. რუსეთის სპეცსამსახურებს არ სურთ, რომ საქართველო გახდეს დემოკრატიული, თავისუფალი, დამოუკიდებელი ევროპული ქვეყანა. მათი ოცნებაა, რომ საქართველო იყოს სუსტი, შუაზე გახლეჩილი, დამოკიდებული რუსეთზე, რომელიც ყოველთვის უნდა დარჩეს ჩვენი ქვეყნის ერთადერთ პატრონად.

ნებისმიერ ფასად უნდა ავიცილოთ თავიდან ქვეყნის გახლეჩა ორ ნაწილად. ხალხმა ეს კარგად შეიგნო. ეს იყო საქართველოსთვის გადამწყვეტი გამოცდა, რომელიც მან ჩააბარა და ქვეყანა ახლა უფრო მომწიფებულია დემოკრატიის თვალსაზრისით.

Le Monde.fr

# მოკლედ

შაბათს ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში მემარჯვენე ექსტრემისტები სასტიკად გაუსწორდნენ ნეოფაშისტებს, რომელთაგან მრავალი სპეციალურად ჩამოვიდა ჩეხეთში ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან. 396 დაკავებულიდან 200 კაცს დააკისრეს ადმინისტრაციული სასჯელი, სამის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები. აღსანიშნავია, რომ შეტაკება მოხდა 1938 წელს ებრაელთა დარბევის დღის მორიგ წლისთავზე.



* * *

გაეროს გენერალურ ასამბლეას განსახილველად შესთავაზეს რეზოლუცია ბელორუსიაში ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ. პროექტი წარმოადგინა 33 ქვეყანამ, რომლებიც გამოთქვამდნენ დიდ შეშფოთებას იმის გამო, რომ ბელორუსიაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულება გამოიყენება პოლიტიკური ოპოზიციისა და სამართალდამცავთა წინააღმდეგ.



* * *

ანტარქტიდის ნაპირებისკენ აიღო სტარტი ჩინეთის პოლარულმა ექსპედიციამ. ამ ბოლო 23 წლის განმავლობაში ჩინელ პოლარელთა ყველაზე მასშტაბური ექსპედიცია ანტარქტიდის ნაპირებისკენ გაემართა შანხაის ნავსადგურიდან. ქვეყანაში ერთადერთ ყინულმჭრელზე „სიუელუმზე“ (ქართულად – „თოვლის დრაკონი“ძ იმყოფება 188-კაციანი გუნდი.

* * *

გაეროს გენერალური მდივანი ეცნობა პლანეტის იმ რეგიონებს, რომლებსაც ყველაზე მეტ საფრთხეს უქმნის კლიმატური ცვლილებები. კვირას პან გი მუნი ოფიციალურ ვიზიტად ეწვია ბრაზილიას. სან-პაულუს შტატში ჩასვლისთანავე, გაეროს გენერალურმა მდივანმა დაათვალიერა ეთილის სპირტის გამომშვები საწარმო. ბრაზილია სერიოზულად აპირებს მოიპოვოს მსოფლიო ლიდერობა ამ ეკოლოგიურად სუფთა საწვავის წარმოების საქმეში, რომელსაც შაქრის ლერწმისგან ხდიან.

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 328576



№ 217. სამშაბათი, 13 ნოემბერი, 2007 წელი.

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 11-63

29 ოქტომბერი 2007წ.
07.11.07
040.170.290.36.101.011.076

### ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 23 დეკემბრის №24-5 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

1. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა ,,ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 23 დეკემბრის №24-5 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

**ა) ,,ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის შესავალი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესი“ (შემდგომში ,,’წესი“) აწესრიგებს ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის №4-23 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის“ ფარგლებში საცხოვრებელი შენობების სახურავის, ლიფტის, შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის, სახურავის წყალსაწრეტი მილებისა და სადარბაზოს კარებების შესაკეთებელი სამუშაოების, ასევე ამხანაგობის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიის დაფიქსირებისთვის აუცილებელი სამუშაოების დაფინანსების პროცედურებს.“

**ბ) მუხლი პირველი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,მუხლი 1.

1. ,,ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის“ ფარგლებში საცხოვრებელი შენობების სახურავის, ლიფტის, შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის, სახურავის წყალსაწრეტი მილებისა და სადარბაზოს კარებების შესაკეთებელი სამუშაოების, ასევე ამხანაგობის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიის დაფიქსირებისთვის აუცილებელი სამუშაოების დაფინანსების თხოვნით, ქალაქ თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური – თბილისის კორპუსისათვის (შემდგომში - ,,სამსახური“) განაცხადით მიმართვის უფლება აქვს სამსახურში აღრიცხვაზე მდგარ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას (შემდგომში - ,,ამხანაგობა“).

2. ამხანაგობამ სამსახურში აღრიცხვაზე დადგომისას უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის საერთო კრების ოქმის დედანი;

ბ) ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულების დედანი ამხანაგობასა და მოწვეულ მმართველს შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) ამხანაგობის წესდება;

დ) ამხანაგობის წევრთა 2/3-ის ან, თუ წევრთა რიცხვი თორმეტს არ აღემატება –3/4-ის ხელმოწერები, წევრთა სახელი-გვარის, ბინის, ტელეფონის ნომრებისა და პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი საბუთის მონაცემების მითითებით;

ე) საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომელიც ადასტურებს ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ იმ მრავალბინიან სახლში ბინის მესაკუთრედ ყოფნის ფაქტს, რომელშიც აირჩიეს თავმჯდომარედ.“

**გ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,2. განაცხადი (პროექტი) უნდა შეიცავდეს შემდეგ სავალდებულო მონაცემებს:

ა) თავფურცელს, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია განმცხადებელი ამხანაგობის შესახებ;

ბ) პრობლემის არსს, რომელიც უნდა შეიცავდეს იმ კონკრეტული პრობლემების მიმოხილვას, რომლის გადაჭრისკენაც არის მიმართული ამხანაგობის განაცხადი;

გ) ბიუჯეტს, რომელშიც უნდა იქნეს განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოებისათვის საჭირო თანხები და უნდა ეფუძნებოდეს მომსახურე ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ხარჯთაღრიცხვას;

დ) მომსახურე ორგანიზაციის დასახელებას, რომელიც შეასრულებს განაცხადით (პროექტით) გათვალისწინებულ სამუშაოებს;

ე) ამხანაგობის წევრთა სახელსა და გვარს, ხელმოწერებს (სულ ცოტა ნახევარზე მეტის), ბინისა და ტელეფონის ნომრებს.“

**დ) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,2. სამსახური ვალდებულია ერთი თვის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება **კანონმდებლობით დადგენილი წესით** განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.“

**ე) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,დ) თუ ლიფტი, სახურავი, შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობა, სახურავის წყალსაწრეტი მილები და სადარბაზოს კარებები შეკეთებულია მერიის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში.“

**ვ) ამოღებულ იქნას მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი;**

**ზ) მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:**

,,8. ამხანაგობა პასუხისმგებელია მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ-ფინანსური ანგარიშის შესაბამისობაზე ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოსთან.“

**2.** გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი**

# განმარტებითი ბარათი

### ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 23 დეკემბრის №24-5 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ,,ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტზე:

**1.** გადაწყვეტილების პროექტის მიღების მიზეზია ქალაქ თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური – თბილისის კორპუსის (შემდგომში - ,,სამსახური“) მიერ ,,ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის სხვადასხვა მუხლებს შორის უზუსტობებისა და ამხანაგობების მიერ განაცხადის შემოტანისა და დაფინანსების პროცესში პრაქტიკაში წამოჭრილი ზოგიერთი პრობლემური საკითხების არსებობა.

2. გადაწყვეტილების პროექტის მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია იმ დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრა, რომელიც ამხანაგობამ უნდა წარმოადგინოს სამსახურში აღრიცხვაზე დადგომისას. აღნიშნული ნუსხის განსაზღვრა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამა წლის 1 აგვისტოს ძალაში შესული კანონი ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ პირდაპირ ავალებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვას.

3. გადაწყვეტილების პროექტის მიღების ერთ-ერთი ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ განაცხადის შემოტანის პროცესი უფრო მოქნილი გახდეს და ამოღებულ იქნას განაცხადიდან ზოგიერთი ისეთი მონაცემი, რომელსაც დაფინანსების დროს პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნია, კერძოდ, სამსახურს საჭიროდ მიაჩნია ამოღებულ იქნას განაცხადიდან სამუშაოების შესრულების ვადის მითითება, რომელზეც ამხანაგობა და მომსახურე ორგანიზაცია თანხმდებიან განაცხადის დაკმაყოფილების შემდეგ მათ შორის დადებული ხელშეკრულებით, ასევე განაცხადის შემოტანის პროცედურას ართულებს განაცხადით მოთხოვნილი ამხანაგობის წევრთა პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი საბუთის მონაცემების მითითება, ვინაიდან ამხანაგობის წევრთა იდენტიფიცირებისათვის სრულიად საკმარისია მათი ბინისა და ტელეფონის ნომრების მითითება, მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამხანაგობის წევრები განაცხადს ხელს აწერენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრებაზე და, უმეტეს შემთხვევაში, თან არ აქვთ პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი საბუთი. ამასთან, სამსახურს საჭიროდ მიაჩნია განაცხადში მომსახურე კომპანიის სრული რეკვიზიტების მითითების ამოღება, რადგან კომპანიის დასახელება და ხარჯთაღრიცხვაზე დასმული ბეჭედი სრულიად საკმარისია მისი იდენტიფიცირებისათვის. ამასთან, აღნიშნული რეკვიზიტები განაცხადის დაკმაყოფილების პროცესში და შემდგომ, მომსახურე ორგანიზაციის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის დროსაც, არავითარ როლს არ თამაშობს, რადგან აღნიშნული რეკვიზიტები მოცემულია ამხანაგობის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ-ფინანსურ ანგარიშში, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშფაქტურაში. გადაწყვეტილების პროექტით გათვალისწინებულია განაცხადში პრობლემის გადაჭრის გზების მითითების ამოღებაც, რადგან სამსახურის ძირითადი საქმიანობა სწორედ ამ პრობლემის მოგვარებისკენ არის მიზანმიმართული და გადაჭრის გზების მითითებას მეტად ფორმალური ხასიათი გააჩნია. სამსახურს, ამხანაგობების დაფინანსების პროცესში, უფრო მოქნილი სისტემის შემუშავების მიზნით, აუცილებლად მიაჩნია განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძვლის – მომსახურე ორგანიზაციის მიერ სამუშაოების ჩატარებისათვის აუცილებელი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა – ამოღება, რადგან აღნიშნულმა პრაქტიკაში ვერ ჰპოვა სათანადო ასახვა და, ამასთან ერთად, დაფინანსების პროცესში ამხანაგობებს შეუქმნა პრობლემა.

4. გადაწყვეტილების პროექტის მიღების ერთ-ერთი მიზანია სამსახურისთვის საქმისწარმოების გაადვილება. ვინაიდან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტი უფლებას აძლევს ადმინისტრაციულ ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცეს ზეპირად ან წერილობით, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ განაცხადების რაოდენობა თვის განმავლობაში საშუალოდ 300-ს აღწევს, სამსახურისთვის მოსახერხებელია განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ამხანაგობას აცნობოს ზეპირად.

5. გადაწყვეტილების პროექტის მიღება განაპირობა ასევე იმ ფაქტორმაც, რომ ამხანაგობის თავმჯდომარეების მიერ შესაკეთებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ ტექნიკურ-ფინანსური ანგარიშის წარმოდგენა ხდება ხშირ შემთხვევაში ფორმალურად და არ ხდება მათ მიერ შესრულებული სამუშაოს აქტთან რეალურად ჩატარებული სამუშაოების შესაბამისობაზე კონტროლი. აღნიშნული პროექტის მიღების შემთხვევაში თავმჯდომარეებს პირდაპირ დაევალებათ აღნიშნული შესაბამისობის უზრუნველყოფა.

6. გადაწყვეტილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 11-62

29 ოქტომბერი 2007წ.
07.11.07
010.250.000.36.101.011.075

### ,,ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 13 ოქტომბრის №1-4 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

1. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა “ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 13 ოქტომბრის №1-4 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები და გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576



№ 217. სამშაბათი, 13 ნოემბერი, 2007 წელი.

„დანართი 1

## ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### თავი I

### ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.**

1. ქ. თბილისის საკრებულოს აპარატი (შემდგომში-აპარატი) შექმნილია ქ. თბილისის საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით.

2. აპარატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს “საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონით, ქ. თბილისის საკრებულოს რეგლამენტით, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით.

3. აპარატს აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, საკუთარი ბლანკი და ანგარიში ხაზინაში.

4. აპარატის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე.

5. აპარატის ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2.

### თავი II

### აპარატის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

**მუხლი 2.**

აპარატის ძირითადი ამოცანებია საკრებულოს სხდომების, საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, წევრების, კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი კომისიების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება.

**მუხლი 3.**

აპარატის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ქ. თბილისის საკრებულოს სხდომების მომზადება;

ბ) საკრებულოს ხმის დამთვლელი და სამანდატო დროებითი კომისიების მუშაობის ტექნიკური უზრუნველყოფა;

გ) აცნობოს საკრებულოს წევრებს საკრებულოს სხდომის მოწვევის შესახებ საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით;

დ) საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების რეგისტრაცია საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით;

ე) საკრებულოს კომისიების, ფრაქციების, დროებითი კომისიების სამართლებრივი, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და სხვა საკითხების გადაწყვეტა;

ვ) საკრებულოს სხდომებზე სამართლებრივი აქტებისა და სხვა საკითხების განხილვისას გამოთქმული წინადადებების და შენიშვნების აღრიცხვა;

ზ) საკრებულოს წევრებისათვის მათი უფლებამოსილების განხორციელებაში ხელის შეწყობა;

თ) საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიებისა და ფრაქციების დავალებების შესრულება;

ი) საკრებულოს ხელმძღვანელობისა და საკრებულოს წევრებისათვის საინფორმაციო-საცნობარო და სხვა მასალების მომზადება, საკრებულოს მიერ მიღებული აქტების კრებულის მომზადება;

კ) საკრებულოს სხდომებს შორის პერიოდში საჭირო საინფორმაციო მასალების მომზადება და საკრებულოს წევრებისათვის მიწოდება;

ლ) საკრებულოს სხდომების ოქმების წარმოება;

მ) პრესით, ტელევიზიითა და რადიოთი საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის გამოქვეყნება და გაშუქება;

ნ) საკრებულოს საგარეო ურთიერთობების, საკრებულოს ოფიციალური ვიზიტებისა და საპროტოკოლო ღონისძიებათა ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ო) დაცვის სპეციალურ სამსახურებთან ერთად, საკრებულოს შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების სპეციალური რეჟიმის შემუშავება და განხორციელება;

პ) საკრებულოში ერთიანი საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზება;

ჟ) საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა;

რ) საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა საკადრო აღრიცხვიანობისა უზრუნველყოფა.

ს) საკრებულოში თანამედროვე ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნის, მისი გამართულად მუშაობისა და განვითარების უზრუნველყოფა;

ტ) სასამართლოებში საკრებულოს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;

უ) საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ფ) “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ - საქართველოს კანონის შესაბამისად საკრებულოს საჭიროებისათვის საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოთა შესყიდვის დაგეგმვა და განხორციელება;

ქ) საკრებულოს სხდომის თავმჯდომარის დავალებით საკრებულოს სხდომათა დარბაზში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;

ღ) კანონმდებლობით საკრებულოს გამგებლობას მიკუთვნებული სხვა საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობა.

### თავი III

### აპარატის, მისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობა და პერსონალი

**მუხლი 4.**

1. აპარატს ხელმძღვანელობს ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსი (შემდგომში – აპარატის უფროსი).

2. აპარატის უფროსს, საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულო.

3. აპარატის უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აპარატის უფროსი.

4. აპარატის უფროსი და მისი მოადგილეები არ შეიძლება იყვნენ საკრებულოს წევრები.

5. აპარატის უფროსი:

ა) წარმართავს აპარატის საქმიანობას, კოორდინაციას უწევს აპარატის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, წყვეტს აპარატის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) წარმოადგენს აპარატს და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში ანიჭებს აპარატის წარმომადგენლობის უფლებას;

გ) პასუხს აგებს აპარატის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაზე;

დ) თვალყურს ადევნებს აპარატის სტრუქტურული ერთეულების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას, ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობაზე;

ე) განკარგულებით ანაწილებს ფუნქციებს მოადგილეებს შორის და განსაზღვრავს იმ მოადგილეს რომელიც შეასრულებს აპარატის უფროსის მოვალეობას აპარატის უფროსის უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში;

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აპარატის საჯარო მოსამსახურეებს;

ზ) აპარატის სტრუქტურული ერთეულების უფროსებთან შეთანხმებით, ამტკიცებს აპარატის თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს;

თ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს აპარატის დებულებას, სტრუქტურას და საშტატო ნუსხას;

ი) კანონმდებლობის შესაბამისად, აპარატის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე დებს ხელშეკრულებებს;

კ) წარმართავს აპარატის საფინანსო საქმიანობას, პასუხს აგებს მის შედეგებზე, საკრებულოს ბალანსზე რიცხული ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებაზე;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში განკარგავს აპარატის ფინანსურ სახსრებს;

მ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტაციას და მესამე პირებთან ურთიერთობებში გამოდის აპარატის სახელით;

ნ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში წაახალისებს ან დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს შეუფარდებს აპარატის თანამშრომლებს;

ო) სამსახურებრივ კორესპონდენციას უნაწილებს დაქვემდებარებულ მოსამსახურეებს და უზრუნველყოფს მისი შესრულების კონტროლს;

პ) ახორციელებს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

6. აპარატის უფროსის მოადგილეები უფლებამოსილებას ახორციელებენ აპარატის უფროსის განკარგულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში;

7. აპარატის უფროსი და მოადგილეები თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობენ “საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონით, ქ. თბილისის საკრებულოს რეგლამენტით და წინამდებარე დებულებით.

**მუხლი 5.**

1. აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აპარატის უფროსი.

2. აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი არ შეიძლება იყოს საკრებულოს წევრი.

3. აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას და პასუხს აგებს აპარატის უფროსის წინაშე დაკისრებული მოვალეობის ჯეროვნად შეუსრულებლობისათვის;

ბ) აპარატის უფროსს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა კანდიდატურებს;

გ) ხელს აწერს სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

დ) სამსახურებრივ კორესპონდენციას უნაწილებს თავის დაქვემდებარებაში მყოფ მოსამსახურეებს და უზრუნველყოფს მისი შესრულების კონტროლს;

ე) უფლებამოსილია სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია და დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) აპარატის უფროსს წარუდგენს თავის დაქვემდებარებაში მყოფ მოსამსახურეთა კანდინატურებს მათი წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების მიზნით;

ზ) ახორციელებს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 6.**

აპარატის მოსამსახურეები ასრულებენ კანონმდებლობით, ამ დებულებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს.

### თავი IV

### აპარატის სტრუქტურული ერთეულები

**მუხლი 7.**

აპარატის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიებისა და ფრაქციების სამდივნოები;

ბ) აპარატის უფროსის სამდივნო;

გ) იურიდიული განყოფილება;

დ) საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება;

ე) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება;

ვ) საქმისწარმოების განყოფილება;

ზ) კადრების განყოფილება;

თ) საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილება;

ი) საგარეო ურთიერთობათა განყოფილება.

### თავი V

### აპარატის სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ამოცანები

**მუხლი 8.**

საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიებისა და ფრაქციების სამდივნოთა ძირითადი ამოცანებია:

ა) საკრებულოს თავმჯდომარისათვის საკრებულოს შენობაში სრული ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებაში ხელის შეწყობა;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეთა მოხსენებების, საჯარო გამოსვლებისა და ანგარიშების მომზადება;

გ) საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეთა სამართლებრივი, საინფორმაციო და ანალიტიკური უზრუნველყოფა;

დ) საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეთა საქმიანობის ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა;

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 328576





ე) საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეთა სახელზე შემოსული და გასული კორესპონდენციების მიღება და აღრიცხვა;

ვ) საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეთა ცალკეული დავალებების შესრულების კონტროლი.

**მუხლი 9.**

აპარატის უფროსის სამდივნოს ძირითადი ამოცანებია:

ა) აპარატის უფროსისათვის ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებაში ხელის შეწყობა;

ბ) აპარატის უფროსის სამართლებრივი, საინფორმაციო და ანალიტიკური უზრუნველყოფა;

გ) აპარატის უფროსის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

დ) აპარატის უფროსის სახელზე შემოსული და გასული კორესპონდენციების მიღება და აღრიცხვა;

ე) აპარატის უფროსის ცალკეული დავალებების შესრულების კონტროლი;

ვ) აპარატის უფროსის თათბირებისა და მიღებების ორგანიზება.

**მუხლი 10.**

იურიდიული განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) საკრებულოს მიერ მისაღები სამართლებრივი აქტების პროექტებზე სამართლებრივი ექსპერტიზის ჩატარება და სათანადო დასკვნების მომზადება, აქტების საბოლოო რედაქციის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ბ) საკრებულოს ნორმატიული აქტების აღრიცხვა, სისტემატიზაცია და შენახვა;

გ) საკრებულოს წევრთა და საკრებულოს აპარატის სამართლებრივი ინფორმაციით უზრუნველყოფა და მათთვის კონსულტაციების გაწევა.

დ) სასამართლოებში საკრებულოს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.

**მუხლი 11.**

საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) საფინანსო უზრუნველყოფის დაგეგმვა;

ბ) ფინანსური სახსრებისა და მატერიალურ საშუალებათა ხარჯვის აღრიცხვა და ანალიზი;

გ) კვარტალური და წლიური ბალანსების სხვა ანგარიშების შედგენა;

დ) საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს წევრთა ხარჯებისა და აპარატის მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება;

ე) საკრებულოს წევრთა და აპარატის თანამშრომელთა სამივლინებო და სამეურნეო ხარჯების ანაზღაურება;

ვ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ - საქართველოს კანონის შესაბამისად საკრებულოს საჭიროებისათვის საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოთა შესყიდვის დაგეგმვა და განხორციელება.

**მუხლი 12.**

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) საკრებულოს შენობის ექსპლუატაციის უზრუნველყოფა;

ბ) საკრებულოს სხდომათა დარბაზში დამონტაჟებული რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის აპარატურის მოვლისა და ტექნიკური ზედამხედველობის უზრუნველყოფა;

გ) საკრებულოს შენობაში სანიტარული ნორმების დაცვა, განთავსებული ინვენტარის, ელექტროაპარატურისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა, მოვლა და დაცვა;

დ) საინჟინრო კომუნიკაციების, ტექნოლოგიური და სპეცდანიშნულების მოწყობილობების, ენერგომომარაგების, გათბობა-კონდიცირების, წყალმომარაგების, ხანძარსაწინააღმდგო სისტემის და სატელეფონო ქსელების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

ე) საკრებულოს სხდომების, შეხვედრების, კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების სამეურნეო უზრუნველყოფა;

ვ) შენობა-ნაგებობის მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ორგანიზება და ტექნიკური ზედამხედველობა;

ზ) საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეთა, საკრებულოს წევრთა, აპარატისა და მისი სტრუქტურული ერთეულების სამეურნეო უზრუნველყოფა.

**მუხლი 13.**

საქმისწარმოების განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) აპარატში ერთიანი საქმისწარმოების უზრუნველყოფა;

ბ) კორესპონდენციის მიღება, აღრიცხვა, დანიშნულებისამებრ გაგზავნა, კონტროლი, საიდუმლო საქმის წარმოების უზრუნველყოფა;

გ) მოქალაქეთა მიღება, მათი წერილების, განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების რეგისტრაცია და სტატისტიკური მონაცემების მომზადება;

დ) საკრებულოს სხდომების მომზადება და ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა, სხდომების მიმდინარეობისას სხდომათა დარბაზში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;

ე) საკრებულოს სხდომების მიმდინარეობისას საკრებულოს სხდომათა დარბაზში დამონტაჟებული რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის აპარატურის ექსპლუატაცია და მართვა.

ვ) საკრებულოს სხდომათა ოქმების წარმოება;

ზ) საკრებულოს მიერ მისაღები სამართლებრივი აქტების რედაქტირება და კორექტირება;

თ) საკრებულოს ხმის დამთვლელი და სამანდატო დროებითი კომისიების მუშაობის ტექნიკური უზრუნველყოფა;

ი) საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით აცნობოს საკრებულოს წევრებს საკრებულოს სხდომის მოწვევის შესახებ;

კ) საკრებულოს სამართლებრივი აქტების აღრიცხვა, სისტემატიზაცია და შენახვა;

ლ) საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების რეგისტრაცია.

**მუხლი 14.**

კადრების განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების ორგანიზება, საკადრო რეზერვის ფორმირება, მოხელეთა ატესტაციის ჩატარებისა და მათთვის საკლასო ჩინების მინიჭების ორგანიზება;

ბ) აპარატის მოხელეთა და მოსამსახურეთა პირადი საქმეების შედგენა, შრომის წიგნაკების, ჩანართი ფურცლების აღრიცხვა-წარმოება, მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მოწმობების გაცემა და აღრიცხვა;

გ) კონსულტაციებს უწევს მოხელეებს მათი სამართლებრივი მდგომარეობის, შეზღუდვების და სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე;

დ) საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ტრენინგების პროგრამების მომზადების ორგანიზება;

ე) აპარატში სტაჟირების ორგანიზება, სტაჟირების გავლის კონტროლი;

ვ) მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი ინსტრუქციების მომზადება;

ზ) საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა საკადრო და სამხედრო აღრიცხვიანობა.

**მუხლი 15.**

საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) საზოგადოების ფართო ფენებისათვის ქ. თბილისის საკრებულოსა და მისი ორგანოების საქმიანობის გაცნობა;

ბ) საკრებულოს საქმიანობის გაშუქება;

გ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების ინფორმირება საკრებულოში დაგეგმილ ღონისძიებათა შესახებ;

დ) პრესკონფერენციებისა და ბრიფინგების მომზადება;

ე) საკრებულოს საქმიანობის ამსახველი ყოველდღიური და ყოველკვირეული საინფორმაციო მასალების მომზადება;

ვ) საკრებულოში ჟურნალისტთა ყოველწლიური აკრედიტაცია;

ზ) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაშუქებული მასალების ანალიზი, მასმედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა;

თ) საკრებულოს ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების კონტროლი და განახლება.

**მუხლი 16.**

საგარეო ურთიერთობათა განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) საზღვარგარეთის ქვეყნების ქალაქებთან ქალაქ თბილისის საკრებულოს ურთიერთობის პრიორიტეტული მიმართულებების შემუშავება;

ბ) საზღვარგარეთის ქვეყნების ქალაქებთან ეკონომიკის, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და სხვა სფეროებში ურთიერთობების ორგანიზება;

გ) დაძმობილებულ და პარტნიორ ქალაქებთან ურთიერთობების წარმართვა და მათთან თანამშრომლობის შემდგომი განვითარება;

დ) საკრებულოში უცხო ქვეყნების დელეგაციების, ცალკეულ სახელმწიფო, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა, დიპლომატიურ წარმომადგენელთა ოფიციალური ვიზიტებისა და საპროტოკოლო ღონისძიებათა ორგანიზების უზრუნველყოფა;

ე) საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს ოფიციალური დელეგაციების საზღვარგარეთ გამგზავრების ორგანიზება.

### თავი VI
### დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 17.**

1. აპარატის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. აპარატის რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 11-61

29 ოქტომბერი 2007წ.
07.11.07
330.090.020.36.101.011.073

### „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

**1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-5 თავის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ქ. თბილისის მერი ქ. თბილისში უფლებრივი ზონირების სისტემის ამოქმედების, შემდგომი დახვეწისა და ეფექტური ფუნქციონირების მიზნით ქმნის ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს – ქ. თბილისის მერიის სათათბირო, საკოორდინაციო ორგანოს.“

ბ) მე-5 თავის 34-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 34. წესების მოთხოვნების რეალიზაციისა და დაცვის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობა

1. დეტალური დაგეგმარების დოკუმენტების, უფლებრივი ზონირების სავალდებულო რუკების, აგრეთვე ამ წესების მოთხოვნების შესაბამისად სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მისაღებად მომზადებული საპროექტო გადაწყვეტების განხილვისას, მოქალაქეებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოხატონ თავისი შეხედულებები დედაქალაქისა და მისი ცალკეული ნაწილების დაგეგმარებისა და ახლებურად მოწყობა-განვითარების შესახებ.

2. განხილვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია ადგილობრივი პრესის, ტელევიზიის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახურის, აგრეთვე იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც დაგეგმილია მშენებლობა, რომელიც მოითხოვს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, საინფორმაციო ფარის დადგმის გზით.“

**2.** გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი**

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576





# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 11-60

29 ოქტომბერი 2007წ.
07.11.07
040.090.000.36.101.011.074

**„ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-16 გადაწყვეტილებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ**

**1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლების შესაბამისად, ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა „ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-16 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწაემეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

**ა) წესს დაემატოს 5[1] მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 5[1]. ჩამოწერილი და გამოუსადეგარი ძირითადი საშუალებების განადგურება.

1. ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება, რომლის რაიმე დანიშნულებით გამოყენებაც შეუძლებელია, დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილების საფუძველზე ექვემდებარება განადგურებას.
2. ქონების განადგურების პროცესს ესწრება შესაბამისი დაწესებულების უფლებამოსილი წარმომადგენელი და ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.
3. ქონების განადგურებას ტექნიკურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს შესაბამისი დაწესებულება, რომელსაც ეკუთვნის გასანადგურებელი ქონება.
4. ქონება უნდა განადგურდეს ამ მიზნისათვის გამოყოფილ ადგილებში, ან ნაგვის დასაწვავ ადგილებში.
5. ქონების განადგურების თაობაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ პირები, რომელნიც ესწრებიან განადგურების პროცესს.
6. ქონების განადგურებისათვის აუცილებელი ხარჯი ფინანსდება შესაბამისი დაწესებულების მიერ.
7. განადგურების მართლზომიერებასა და შედეგებზე პასუხისმგებელია დაწესებულების ხელმძღვანელი.“.

**ბ) წესის მე-6 მუხლში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 6. ჩამოწერილი ქონების რეალიზაცია

ჩამოწერილი ქონების რეალიზაცია ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.“

**2.** გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი**

# განმარტებითი ბარათი

**(„ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველოობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ 2007 წლის 28 თებერვლის №2-16 საკრებულოს გადაწყვეტილებით დამტკიცებულ წესში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტზე)**

„ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველოობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ 2007 წლის 28 თებერვლის №2-16 საკრებულოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწაემეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის თანახმად განხორციელებული ინვენტარიზაციისა და ქონების ჩამოწერის შედეგად გამოვლინდა ისეთი ქონება, რომლის რაიმე დანიშნულებით გამოყენებაც შეუძლებელია და რომელსაც ღირებულება ფაქტობრივად არ გააჩნია, სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია „ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველოობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ 2007 წლის 28 თებერვლის №2-16 საკრებულოს გადაწყვეტილებით დამტკიცებულ წესში დაწესებულების (საქალაქო სამსახურების და გამგეობების) ჩამოწერილი და გამოუსადეგარი ძირითადი საშუალებების განადგურების შესახებ მუხლის დამატების აუცილებლობა.

ასევე, „ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-16 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებულია ჩამოწერილი ქონების რეალიზება საკრებულოს 2006 წლის 20 ნოემბრის №2-17 გადაწყვეტილებით დადგენილი წესის შესაბამისად, რაც ძალადაკარგულად გამოცხადდა „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების, ასევე „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 28.11.07.წ. №1-1/1476 ბრძანების ძალაში შესვლის შემდეგ. შესაბამისად წარმოიშვა ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-16 გადაწყვეტილების მე-6 მუხლში ცვლილების შეტანის აუცილებლობა.

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 11-59

29 ოქტომბერი 2007წ.
07.11.07
010.270.000.36.101.011.072

**„დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის №10-54 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

**1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა „დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის №10-54 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული “დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ქონების ღირებულების განსაზღვრისას გამოიყენება „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული წესი ან/და სერტიფიცირებული აუდიტორის დასკვნა.“

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი**

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 11-58

29 ოქტომბერი 2007წ.
07.11.07
240.120.100.36.101.011.071

**„გარე რეკლამის გავრცელების რეგულირების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის №4-32 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

**1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა „გარე რეკლამის გავრცელების რეგულირების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის №4-32 გადაწყვეტილების მე-3 მუხლის პირველ პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირის მიერ ახალი სარეკლამო საშუალების განთავსებისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

**2.** გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი**

• საქართველოს სპორტსმენები მთავარი მწვრთნელის ოლეგ იაძის თავკაცობით ნებისმიერი შეჯიბრებიდან უხვი ნადავლით ბრუნდებიან. ჩვენმა ფალავნებმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს – პრაღაში დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე 5 მედალი მოიპოვეს



№ 217. სამშაბათი, 13 ნოემბერი, 2007 წელი.

ორბიტაზე

## გულიტი – ბექჰემის მწვრთნელი?



**წარსულში სახელგანთქმული ჰოლანდიელი ფეხბურთელი და მწვრთნელი რუდ გულიტი დაინიშნა „ლოს-ანჯელეს გელექსის" მთავარ მწვრთნელად. იქ ხომ ამჟამად თანამედროვე ფეხბურთის ვარსკვლავი დევიდ ბექჰემი თამაშობს.**

შეგახსენებთ, რომ ფრენკ იაპოლის გადადგომის შემდეგ კალიფორნიულმა კლუბმა გამოაცხადა, რომ გუნდს მსოფლიო სახელის სპეციალისტი ჩაუდგებოდა სათავეში და სავარაუდოდ ასახელებდნენ იურგენ კლისმანის, ჟოზე მოურინიოსა და ბრიუს არენუს კანდიდატურებს.

„გელექსმა" ბოლო ამხანაგური შეხვედრა ბექჰემის მონაწილეობით ფრედ დაამთავრა ვანკუვერში ადგილობრივ გუნდთან. ბექჰემის მონაწილეობა ამ შეხვედრაში მხოლოდ გულშემატკივრები კი არა, მეტოქეებიც კი გაახარა. „უბრალოდ სუპერია, ჩვენ ამ დონის ფეხბურთელის წინააღმდეგ რომ ვთამაშობდით, – აცხადებს „ვანკუვერის" ნახევარმცველი მარტინ ნეშა, – ასეთი რამ ცხოვრებაში ერთხელ ხდება".

როგორც ამბობენ, ბექჰემი უახლოეს ხანში ინგლისის ნაკრების მატჩში ითამაშებს.

## პლაჟზეც იმარჯვეს

**ბრაზილიის ნაკრებმა პლაჟის ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონობა და ოქროს მედლები მოიპოვა – რიო-დე-ჟანეიროს კაპაკაბანის პლაჟის ქვიშნარში, გაანადგურა რა მექსიკის ნაკრები – 8:1.**

მესამე ადგილისათვის ფრანგებისა და ურუგვაელთა ორთაბრძოლაში იმარჯვეს სამხრეთამერიკელებმა.

2008 წლის მსოფლიო ჩემპიონატი პლაჟის ფეხბურთში მარსელში (საფრანგეთი) გაიმართება. მომავალი წლიდან კი ამ ჩემპიონატის მასპინძელი კენჭისყრით განისაზღვრება.

## სიდნეის მედლები – შვიდი წლის შემდეგ?

**2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშების მედლების ხუთი კომპლექტი ახალ მფლობელებს ელის. მათ ვინაობას გაარკვევს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ამერიკელი მერიონ ჯონსის დისკვალიფიკაციის გამო.** თანაც მედლები ქველებურად ავტომატურად კი არ გადაეცემა მომდევნო ადგილებზე გამოსულთ, არამედ, როგორც სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ განაცხადა, აბსოლუტურად სუფთა სპორტსმენებს. სიდნეიში დოპინგ-სინჯები აუღეს პირველ ხუთ ადგილზე გამოსულ სპორტსმენებს და მათი ნიმუშები ისევ ინახება და შესაძლებელია მათი გაანალიზება.

შეგახსენებთ, რომ სიდნეიში მერიონ ჯონსი პირველი ქალი იყო, ერთ ოლიმპიადაზე ერთბაშად 5 მედალი რომ მოიპოვა. მათ შორის „ოქრო" 100, 200 მეტრზე და ესტაფეტაში 4X400 სირბილში, აგრეთვე „ბრინჯაო" სიგრძეზე ხტომასა და ესტაფეტაში 4X100.

## თუმცა პანუჩი წინააღმდეგია

**ეჭვიანობამ ზოგჯერ ავად შემობრუნება იცის. იტალიური „რომას" ფეხბურთელმა კრისტიან პანუჩიმ სწორედ ამ მიზეზით გაწყვიტა ურთიერთობა როზარია კანავოსთან.**

როგორც იტალიური ტელეარხი Star TV



იუწყება, ფეხბურთელს არ მოეწონა, რომ მისი გულისვარდი დაეთანხმა ახალი კალენდრისთვის სანახევროდ გაშიშვლებას. „რომას" მცველს არ მოეწონა, რომ სხვა მამაკაცებსაც შეეძლებოდათ მისი სატრფოს ღირსებათა ხილვა. ამიტომაც შემოსწყრა ლამაზმანს და გაშორდა კიდეც.

ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**იტალია. XII ტური.** „ფიორენტინა" – „უდინეზე" 1:2, „პარმა" – „იუვენტუსი" 2:2, „ინტერი" – „ლაციო" გადაიდო. „რომა" – „კალიარი" გადაიდო.

**ლიდერთა ჯგუფი**: „ინტერი" – 25, „ფიორენტინა" – 23, „იუვენტუსი", „რომა", „უდინეზე" – 22-22 ქულა.

**ბომბარდირი:** ტრეზეგე („იუვენტუსი") – 10 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ინტერი" – „ატალანტა", „რეჯინა" – „ფიორენტინა", „იუვენტუსი" – „პალერმო", „ჯენოა" – „რომა", „უდინეზე" – „სიენა".

**ესპანეთი. XII ტური.** „რეალი" – „მალიორკა" 4:3, „ვილიარეალი" – „სევილია" 3:2, „ხეტაფე" – „ბარსელონა" 2:0, „ვალენსია" – „მურსია" 3:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „რეალი" – 28, „ვილიარეალი" – 27, „ბარსელონა", „ვალენსია" – 24-24 ქულა.

**ბომბარდირი:** ლუის ფაბიანო („სევილია") – 8 გოლი.

**შემდეგი ტური:** „მურსია" – „რეალი", „ვილიარეალი" – „ალმერია", „ბარსელონა" – „უელვა", „რასინგი" – „ვალენსია".

**ინგლისი. XIII ტური.** „მანჩესტერი" – „ბლექბერნი" 2:0, „ჩელსი" – „ევერტონი" 1:1, „პორტსმუთი" – „სიტი" 0:0, „რედინგი" – „არსენალი" წუხელ გვიან დასრულდა.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი" – 30, „არსენალი" – 27, „ჩელსი", „სიტი" – 25-25 ქულა.

**ბომბარდირი:** მვარუვარი („პორტსმუთი") – 8 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბოლტონი" – „მანჩესტერი", „არსენალი" – „უიგანი", „დერბი" – „ჩელსი", „სიტი" – „რედინგი".

**გერმანია. XIII ტური.** „შტუტგარტი" – „ბაიერნი" 3:1, „ვერდერი" – „კარლსრუე" 4:0, „შალკე" – „ჰამბურგი" 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი" – 28, „ვერდერი", „ჰამბურგი" – 27-27 ქულა.

**ბომბარდირი:** ტონი („ბაიერნი") – 9 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბაიერნი" – „ვოლფსბურგი", „კოტბუსი" – „ვერდერი", „ჰამბურგი" – „ჰანზა".

**საფრანგეთი. XIV ტური.** „ლიონი" – „მარსელი" 1:2, „პსჟ" – „ნანსი" 0:0, „ბორდო" – „რენი" 3:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი" – 31, „ნანსი" – 28, „ბორდო" – 25 ქულა.

**ბომბარდირი:** ბენზემა („ლიონი") – 11 გოლი.

**შემდეგი ტური:** „რენი" – „ლიონი", „ნანსი" – „ლილი", „კაენი" – „ბორდო".

**ჰოლანდია. XI ტური.** „ფეიენოორდი" – „აიაქსი" 2:2, „პსვ" – „ალკმაარი" 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „აიაქსი", „ფეიენოორდი" – 25-25, „პსვ" – 24 ქულა.

**ბელგია. XIII ტური.** „სერკლი" – „ბრიუგე" 1:2, „სტანდარდი" – „ლოკერენი" 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბრიუგე" – 30, „სტანდარდი" – 29, „სერკლი" – 24 ქულა.

**უკრაინა. XVI ტური.** „დინამო" – „შახტარი" 2:1, „კრივბასი" – „დნიპრო" 1:2, „ნაფტოვიკი" – „მეტალისტი" 0:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „შახტარი" – 40, „დნიპრო" – 37, „დინამო", „მეტალისტი" – 33-33 ქულა.

**რუსეთი. ბოლო ტური.** „სატურნი" – „ზენიტი" 0:1, „სპარტაკი" – „დინამო" 2:1, „რუბინი" – ცსკა 0:1.

**საპრიზო სამეული:** „ზენიტი" – 61, „სპარტაკი" – 59, ცსკა – 53 ქულა.

ჭადრაკი



# მთავარი პრიზი – დაბადების დღეს

**თურქეთის ქალაქ ადანაში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი 20 ათასი დოლარის საპრიზო ფონდით. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის 140 წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შორის – შვიდი საქართველოდან.**

ცხრა შესაძლებლიდან 8 ქულით პირველი ადგილი თბილისელმა მალხაზ სულაშვილმა მოიპოვა. ეს მოხდა 10 ნოემბერს, იმ დღეს კი მალხაზს დაბადების 21 წელი შეუსრულდა (7,5-7,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები თბილისელმა დავით ზარქუამ და თურქმა ილმაზ ტურხანოვმა გაინაწილეს. 7 ქულით გიორგი ბაღათუროვი მეოთხე იყო). საგულისხმოა, რომ ადანამდე სულაშვილმა იზმირისა და კონიის საერთაშორისო ტურნირებში მეორე ადგილები დაიკავა, თანაც იზმირში ქართველმა საერთაშორისო ოსტატმა გადამწყვეტი შეხვედრა დიდოსტატ მიხაილ გურევიჩს მოუგო.

**სურათზე: მარცხნიდან – მალხაზ სულაშვილი, დავით ზარქუა და ილმაზ ტურხანოვი დაჯილდოების შემდეგ.**

ციგურები

# რეკორდცვენა სოლტ-ლეიკ-სიტიში

**უჩვეულო გამოდგა მოციგურავეთა 2007-08 წლების სათასო სეზონის გახსნა იუტას ოლიმპიურ საციგურაოზე, მაღალსამთო უმაღლეს კატეგორიას რომ განეკუთვნება.** მამაკაცმა მოციგურავეებმა ერთბაშად სამი მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესეს (500, 1000 და 5000 მეტრზე სირბილი), ხოლო ერთი (1500) გაიმეორეს. ყველაზე დასამახსოვრებელი გამოდგა სპრინტში ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონის, კანადელი ჯერემი უეტერსპუნის ასპარეზობა 500 მეტრზე, კორეელი ლი კინგ სეოკის მიერ მარტში დამყარებული რეკორდი 0,22 წამით რომ გააუმჯობესა და მჭიდროდ მიუახლოვდა 34-წამიანი ზღვარის დამხობას – 34,3 წამი.

5000 მეტრზე მსოფლიო რეკორდი იტალიელმა ფაბრისმა დაამყარა – 6.07.40, ხოლო 1000 მეტრზე პეკი კოსკელამ (ფინეთი) – 1.07.00. მსოფლიო რეკორდი 1500 მეტრზე კი გაიმეორა ჰოლანდიელმა ვენემარსმა – 1.43.32.

ვანდალიზმი

# კიდევ ერთი ტრაგედია

**იტალიური ფეხბურთი ახალ ტრაგედიას ვერ ასცდა. კვირას ერთბაშად გადაიდო მიმდინარე ჩემპიონატის A სერიის მე-12 ტურის სამი მატჩი – „ინტერი" – „ლაციო", „ატალანტა" – „მილანი" და „რომა" – „კალიარი".**

„სან-სიროზე" მატჩის გადადების მიზეზი გახდა კლუბ „ლაციოს" პრეზიდენტის კლაუდიო ლოტიტოს მიმართვა ქვეყნის ფეხბურთის თავკაცებისადმი. საქმე ისაა, რომ კვირა დილით ქალაქ არეცოს შემოგარენში პოლიციელის ტყვიით დაიღუპა რომაული გუნდის 26 წლის გულშემატკივარი გაბრიელე სანდრი, მილანში რომ მიემგზავრებოდა. ამ ტრაგედიის ვითარება ჯერჯერობით ბოლომდე არაა გარკვეული, მაგრამ „ლაციოს" ულტრასა და სამართალდამცავთა შორის შესაძლო ინციდენტის ასაშორებლად მატჩი გადაიდო განუსაზღვრელი ვადით.

ბერგამოში შეხვედრა მხოლოდ 7 წუთი გაგრძელდა, შემდეგ კი შეწყდა „ატალანტის" მოხულიგნო გულშემატკივრების უწესრიგობის გამო. ისინი ცდილობდნენ მინდორზე შეჭრას. შესაძლოა, მატჩი გადათამაშდეს ცარიელი ტრიბუნების წინ, თუ კი მასპინძლებს ტექნიკური წაგება არ ჩაუთვალეს.

მატჩი „რომა" – „კალიარი" გვიან საღამოს უნდა გამართულიყო, მაგრამ რომის მთავრობამ დედაქალაქის კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად სიფრთხილის მიზნით მისი გადადება გადაწყვიტა.

სამბო

# ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს

**საქართველოს სპორტსმენები მთავარი მწვრთნელის ოლეგ იაძის თავკაცობით ნებისმიერი შეჯიბრებიდან უხვი ნადავლით ბრუნდებიან.** ჩვენმა ფალავნებმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს – პრაღაში დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე 5 მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ საგარეჯოელი უშანგი კუზანაშვილი (52 კგ.) და მცხეთელი მირიან პავლიაშვილი (100კ). მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა რუსთაველი მძიმეწონოსანი ზვიად ჩინჩალაძე. საგარეჯოელ კახა მამულაშვილს (74კ) და თბილისელ ლევან წიკლაურს (82კ) ბრინჯაოს მედლები ხვდათ. შარშანდელი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი მინდია ბოდაველი (90კ) ამჯერად კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდა.

ძიუდო

# თითო „ვერცხლი" და „ბრინჯაო"



**გასულ უქმეებზე ერევანში დამთავრდა ძიუდოისტთა კომერციული ტურნირი, რომელშიც საქართველოდან სამი სპორტსმენი მონაწილეობდა.** დავით ქევხიშვილმა (73 კგ.) ვერცხლის მედალი დაიმსახურა, ნესტორ ხერგიანი (60კ) კი თანაგუნდელს ერთი საფეხურით ჩამორჩა. მინდია ხომიზურმა (66კ) ტრავმა მიიღო და კვარცხლბეკს ვერ შესწვდა.

● თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ,
ჩვენ ალარა ვართ თქვენთვის!



ხსოვნა

# მარინა სალდაძე



დიდმა მწუხარებამ მოიცვა ინსტიტუტი – გარდაიცვალა სს „აკ. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექიმი, ფიზიოთერაპიული კაბინეტის ხელმძღვანელი მარინა შოთას ასული სალდაძე.

1973 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1975 წლიდან მარინე სალდაძე მუშაობდა ინსტიტუტში ჯერ ექიმ-ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგად, შემდეგ კი ექიმ-ფიზიოთერაპევტად.

მარინა სალდაძე იყო უაღრესად კეთილშობილი, საოცრად წესიერი, ორგანიზებული, მშვიდი და უპრეტენზიო ადამიანი. ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში მან დაიმსახურა თანამშრომლების დიდი სიყვარული და პატივისცემა. ის გამორჩეული იყო თავისი სათნოებით, რომელსაც გრძნობდა ყველა ვისაც კი მასთან ურთიერთობა ჰქონდა.

წავიდა ჩვენგან ლამაზი, ყველა ადამიანური თვისებებით შემკობილი პიროვნება, სამაგალითო მეუღლე, დედა და ბებია, კარგი ექიმი, ერთგული მეგობარი. მისმა უდროოდ წასვლამ საოცრად დიდი ტკივილი დაუტოვა მის მეგობრებს, თანამშრომლებს და ოჯახის წევრებს.

მარინა სალდაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ოჯახის წევრების, მეგობრების, ახლობლების და პაციენტების გულში.

სს „აკ. კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური
მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის" თანამშრომლები

---

ედუარდ შევარდნაძე იუწყება ძველი მეგობრისა და თანამებრძოლის

ზურაბ ჩხეიძის

გარდაცვალებას და იზიარებს მისი ოჯახის მწუხარებას.

---

ირაკლი ჟორდანია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის, ბატონ

ზურაბ ჩხეიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ახლობლებს.

---

პროფესორი ზივი ბიბილეიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება რძლის

მარინა სალდაძის

გარდაცვალებას.

---

საქართველოს ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ქეთევან მახარაძეს მეუღლის

ზურაბ აბულაძის

გარდაცვალების გამო.

---

მერი ჩარკვიანი ოჯახით სამძიმარს უცხადებს ვიქტორია სირაძესა და სერგო რიგვავას სიძის

ალექსანდრე ჭილაძის

გარდაცვალების გამო.

---

დოდო იორდანიშვილი სამძიმარს უცხადებს ვიქტორია სირაძეს და სერგო რიგვავას სიძის

ალექსანდრე ჭილაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო.

---

ინფორმაცია

## აფხაზეთს ელექტროენერგია კვლავ შეზღუდვით მიეწოდება

**კომპანია „ჩერნომორენერგოში" აცხადებენ, რომ შეზღუდვა ოჩამჩირის რაიონის სოფელ აჩგუარაში ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენების დაზიანებით არის გამოწვეული.**

ავარიის შედეგად აფხაზეთი ელექტროენერგიას „ენგურჰესიდან" ვეღარ იღებს. ამ დროისთვის დე ფაქტო რესპუბლიკა ელექტროენერგიით რუსეთიდან მარაგდება.

## ამოუცნობი ვერტმფრენი კონფლიქტის ზონაში

**კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის ცნობით, გუშინ, 10:50 საათზე კონფლიქტის ზონაში ამოუცნობი ვერტმფრენის გადაფრენა დაფიქსირდა. ვერტმფრენი სამშვიდობო ძალების ჩრდილოოსური ბატალიონის პოსტ „წნელისზე" დააფიქსირეს.**

– ვერცხლისფერი ვერტმფრენი 700 მეტრის სიმაღლეზე, სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით მიფრინავდა. ფაქტი სამშვიდობო ძალების რუსული ბატალიონის პოსტზე „ავნევზე" და დროებით სადამკვირვებლო პოსტ „ნულზეც" დაადასტურეს, – იუწყება გაერთიანებულ შტაბზე დაყრდნობით თვითალიარებული სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დე ფაქტო სახელმწიფო კომიტეტი.

შტაბის სარდლობის განცხადებით, კონფლიქტის ზონაში საფრენი აპარატების გადაფრენა კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის 2002 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების უხეში დარღვევაა.

ინტერპრესნიუსი

---

ხსოვნა

# ზურაბ ჩხეიძე



გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, კეთილშობილებითა და ალალმართლობით გამორჩეული პიროვნება ზურაბ ამბროსის ძე ჩხეიძე.

დაიბადა 1930 წლის 13 მაისს ზესტაფონის რაიონში. ზურაბი ჩხეიძეების საგვარეულოს იმ შტოს მიეკუთვნებოდა, რომელმაც ქვეყანას მისცა დიდი პოლიტიკური მოღვაწე, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი თავმჯდომარე და საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ერთ-ერთი დამფუძნებელი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, უდიდესი მსახიობი უშანგი ჩხეიძე, მრავალი სხვა გამოჩენილი ადამიანი.

1954 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი. 1954-57 წლებში მუშაობდა უკრაინაში, ჯერ ქარხანა „ზაპოროჟსტალში", შემდეგ კი ლითონთა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1958-65 წლებში მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, სადაც იყო ცენტრალური საქახნო ლაბორატორიის უფროსი და მთავარი ინჟინრის მოადგილე. ზურაბ ჩხეიძის ორგანიზატორული ნიჭი და დიდი საინჟინრო პოტენციალი განსაკუთრებით გამოჩნდა იმ ექვსი წლის მანძილზე (1965-71წ, როცა ის ხელმძღვანელობდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას. 1971-72 წლებში ზ.ჩხეიძე კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანია, შემდგომში – საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრი.

ზურაბ ჩხეიძე სრულიად დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც უმაღლესი რანგის პროფესიონალი, მრავალი ტექნიკური სიახლის ავტორი, გამორჩეული ორგანიზატორი, კეთილმოსურნე და გულისხმიერი ხელმძღვანელი. იყო ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

1975-89 წლებში ზ.ჩხეიძე რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელია – კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და თავმჯდომარე. ყველა ამ თანამდებობაზე ზურაბი დღენიადაგ ზრუნავდა სახალხო მეურნეობის განვითარებაზე, ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვაზე, სოციალური საკითხების მოგვარებაზე. ამასთან, აქ მეტად გამოჩნდა მისი ადამიანური თვისებები – კეთილმოსურნეობა, ყურადღება, აუგის არამთქმელობა, მიმტევებლობა. მოკლედ რომ ვთქვათ, სრულიად არაორდინარული კაცი და ხელმძღვანელი იყო.

დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტში მოღვაწეობისას ზურაბი თავდაუზოგავად ცდილობდა ქვეყანა აეცილებინა შეცდომებისაგან ეკონომიკის (განსაკუთრებით ენერგეტიკის) სფეროში. ზოგჯერ უსმენდნენ, უფრო ხშირად კი – არა. მხოლოდ უახლოეს ადამიანებს თუ გაანდობდა თავის დიდ განცდებს ამასთან დაკავშირებით.

უდიდესმა ოჯახურმა ტრაგედიამ – საყვარელი მეუღლისა და ერთადერთი შვილის დაკარგვამ წელში გატეხა ეს რანდული სულისა და აღნაგობის ადამიანი. ცდილობდა მედგრად ყოფილიყო, აქეთაც გვამშვიდებდა, მაგრამ ბოლოს ჯანმრთელობამაც უღალატა.

ზურაბ ჩხეიძის წასვლით საქართველომ დაკარგა უერთგულესი შვილი, ჩვენ კი, მეგობრებმა, გამორჩეულად საყვარელი და თბილი, მომფერებელი და მხარში ამომდგომი ძმა.

მეგობრები

---

# ზურაბ ჩხეიძე



კავშირგაბმულობის მრავალათასიანი კოლექტივისა და თითოეული ქართველისათვის დასანანია, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ადამიანი, ჭეშმარიტი მეგობარი და დიდებული მამულიშვილი ზურაბ ჩხეიძე. წავიდა ჩვენგან ქვეყნისა და ხალხის, ოჯახისა და ნათესავების, მეგობრებისა და მეზობლების წინაშე ვალმოხდილი და ჩვენს მრავალ საფიქრალს ერთიც დაემატა-როგორ მოვახერხოთ, რომ მისი ნათელი ცხოვრება და მოღვაწეობა კვლავ ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ, სხვათა ხელმისაწვდომ მაგალითად ვაქციოთ.

ბატონი ზურაბი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების გზაზე სულიერი და გონებრივი შემართებით იხედებოდა წარსულისაკენ, ალიქვამდა აწმყოსა და ჭვრეტდა მომავალს. ამის მიზეზი მისი კაცურკაცობა, შრომისმოყვარეობა, შეუნელებელი გარჯა, სიმართლე, სიალალე, უშურველობა, კეთილსაქმიანობა, თავმდაბლობა მისთვის ჩვეული მოზომილი იუმორი იყო.

ჭეშმარიტად შესანიშნავ პიროვნებასა და საზოგადო მოღვაწეზე ზურაბ ჩხეიძეზე ახალგაზრდობიდან პასუხსაგებ თანამდებობებზე მომუშავე პიროვნებაზე, რომელმაც კავშირგაბმულობის მინისტრად დაყო ხუთი წელი, ძნელია რაიმე ახლის თქმა. უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ ვინც მას იცნობდა, ყველას ერთნაირი, ერთსახა და უცილობელი აზრი აქვს უაღრესად კეთილშობილი და ყველას კეთილმოსურნე, ზედმიწევნით პატიოსანი და თავდადებული შრომაში, ძალზედ თავმდაბალი და თანაც უაღრესად პრინციპული, დიდი ნიჭითა და ინტელექტით დაჯილდოებული, თავისი ქვეყნისა და ხალხის ჭეშმარიტი მოსიყვარულე, ღრმად ერუდირებული და დიდი საზოგადო მოღვაწე.

სხვა დიდ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეებთან ერთად დიდია ზურაბ ჩხეიძის დამსახურება ქვეყნის კავშირგაბმულობის დარგის განვითარებასა და სრულყოფაში. მისი უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მოკლე პერიოდში აშენდა კავშირგაბმულობის ათეულობით ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები. დიდია მისი დამსახურება დარგის მუშაკთა სოციალური მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებაში და სხვა.

ზურაბ ჩხეიძემ თესა კაცობა, ადამიანობა, სიყვარული, ერთგულება, თავდადება საქმისადმი, რომელიც უხვად მოიმკა კიდეც. კავშირგაბმულობის მრავალათასიან მუშაკთა შორის ზურაბ ჩხეიძემ სამართლიანად დაიმკვიდრა პროფესიონალი ხელმძღვანელის, გამოცდილი და აღიარებული სანიმუშო პიროვნების ადგილი. საამაყო და შესაშური იყო მასთან მუშაობა. მისი მინისტრის თანამდებობაზე მუშაობის ხუთი წელი დაუვიწყარია და ნათელ ზოლად გასდევს კავშირგაბმულობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

ფრიდონ ინჯია, ბორის ბოჭორიშვილი, მამია სულაბერიძე, ავთანდილ იაშვილი, ნოდარ ჯიქია, გურამ ხმალაძე, ვახტანგ თოდუა, რემი გველესიანი, თეიმურაზ ღოღობერიძე.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.

# ბოლო გვერდი

● დედაქალაქის ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკი ამჟამად შეზღუდული არ არის და ავტობუსებიც და მეტროპოლიტენიც ჩვეულ რეჟიმში განაგრძობენ მუშაობას

№ 217. სამშაბათი, 13 ნოემბერი, 2007 წელი.

◉ სულიერება

## თბილისში ხვარაზმელების მიერ წამებული 100 000 მოწამე



**13 ნოემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს 100 000 წმიდანს, რომლებიც თბილისში 1227 წელს ხვარაზმელებმა აწამეს.**

.... ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ ხვარაზმის სულთანი ჯალალედინი საქართველოს საზღვრებს მოადგა და ათაბაგ ავაგ მხარგრძელს შესთავაზა: „აწ მნებავს, რათა შევერთნეთ მტკიცითა ფიცითა და ვბრძოლოთ მტერთა (მონღოლებსძ, რომელ მეფე თქვენი დედაკაცი არს და მყოთ ქმარ მისა და მეფე თქუენ ზედა და ვძლოთ ყოველთა მტერთა ჩვენთა; უკეთუ ესე არა ჰყოთ, მოოხრდეს სამეფო თქვენი“.

რუსუდანმა ავაგს უარი შეუთვალა... სულთანმა ლაშქარი თბილისისკენ დაძრა.

ბრძოლის პირველ დღეს „ბრწყინვალე ძლევა აჩვენეს ქართველთა“, მაგრამ ღამით მტერი თბილისში აღმოჩნდა... სისხლის მდინარემ წალეკა ქალაქი, ქუჩები და მტკვარი გვამებით აივსო.

სულთანმა მოარღვევინა სიონის ტაძრის გუმბათი, გამოატანინა ტაძრიდან მაცხოვრისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატები, დაასვენებინა ხიდზე და უბრძანეს ქართველებს: „დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა“. ვინც ამას არ აღასრულებდა, „წარკუეთა თავთა“ ელოდა.

100 000 ქართველი შეეწირა ამ დღეს წმიდა ხატების თაყვანისცემას და სარწმუნოების დაცვას. ერთ დღეს 100 000 წამებული – მსოფლიოში უპრეცედენტო ფაქტია!

თბილისში, მეტეხის ხიდთან მათი ხსენება განსაკუთრებული წირვა-ლოცვით აღესრულება...

საგულისხმოა, რომ ახლახან შეიქმნა ასი ათასი მოწამის ხატი, რომელიც ტაძრებში დაბრძანდება. სადაც ეს ხატი არის, იმასთან ერთად აღავლენენ ორშაბათობით წირვას.

**გიული ლიპარტია**

◉ ინფორმაცია

## დედაქალაქი ჩვეულ რიტმში ცხოვრობს

**დედაქალაქი ჩვეულ რიტმში ცხოვრობს. მუნიციპალური ტრანსპორტი ჩვეულ რეჟიმში მოძრაობს.**

– ქალაქი ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. რამდენიმე დღეა მთელი ქალაქის მასშტაბით აღდგენილია მუნიციპალური ტრანსპორტის (ავტობუსების, მეტროპოლიტენისძ მოძრაობა, – აცხადებს თბილისის ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი.

მისი თქმით, დედაქალაქის ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკი ამჟამად შეზღუდული არ არის და ავტობუსებიც და მეტროპოლიტენიც ჩვეულ რეჟიმში განაგრძობენ მუშაობას.

## „პერსონა ნონ გრატად“ გამოცხადებულმა რუსმა დიპლომატებმა საქართველო დატოვეს

**12 ნოემბერს, საქართველოს ხელისუფლების მიერ გასულ კვირას „პერსონა ნონ გრატად“ გამოცხადებულმა სამმა რუსმა დიპლომატმა საქართველო დატოვა. თბილისიდან დიპლომატები ერევანში გაემგზავრნენ.** ერთ-ერთმა დიპლომატმა ივან ვოლინკინმა განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ მის პერსონა ნონ გრატად გამოცხადებისთვის დასახელებული მიზეზები უსაფუძვლოა. – მართალია, მე მქონდა კავშირი და საუბრები გამსახურდიების ოჯახთან, რომლებთანაც უკვე წლებია ვმეგობრობ. მივიჩნევ, რომ ეს გარემოება არ უნდა გამხდარიყო საქართველოს ხელისუფლების მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების საბაბი, – აცხადებს ვოლინკინი და დასძენს, რომ საქართველოში მას ბევრი მეგობარი ჰყავს და მას საქართველოს დატოვება უჭირს.

## შტორმის შედეგად ხუთი სატვირთო გემი ჩაიძირა

**აზოვისა და შავ ზღვებში 6-ბალიანი შტორმის შედეგად ხუთი სატვირთო გემი ჩაიძირა. მათ შორის არის ქართული დროშის ქვეშ მცურავი გემი, რომელსაც მარიუპოლიდან ტარტას პორტში ლითონი გადაჰქონდა. ბორტზე მყოფი 15 მეზღვაური დაკარგულად ითვლება.**

აზოვისა და შავ ზღვებზე სამაშველო სამუშაოებში უკვე ვერტმფრენებიც ჩაერთნენ. უამინდობის მიუხედავად, მაშველები მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ. დღეს დილით მათ სამი მეზღვაურის ცხედარი იპოვეს. მსხვერპლის რიცხვი უკვე ხუთამდე გაიზარდა. 22 ადამიანის ბედი კი, კვლავ გაურკვეველია.



ქერჩის სრუტე ეკოლოგიური კატასტროფის წინაშეა, მასში ორი ათას ტონამდე მაზუთი ჩაიღვარა.

შტორმი აზოვისა და შავ ზღვებზე დასავლეთიდან შემოსულმა ბალკანურმა ციკლონმა გამოიწვია. ქარის სიჩქარე საათში 130 კმ-ს აღწევს. ტალღების სიმაღლე კი 5 მეტრს აღემატება.

## ჭუბერი-საკენის მონაკვეთზე ზვავსაშიშროებაა

**ხაიში-საკენი-ომარიშარას საავტომობილო გზის ჭუბერი-საკენის მონაკვეთზე ზვავსაშიშროებაა მოსალოდნელი.**

სატრანსპორტო გზის ამ ნაწილზე, კერძოდ ჭუბერი-საკენის მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. ამის შესახებ სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ საავტომობილო გზების დეპარტამენტში განუცხადეს.

დეპარტამენტის ინფორმაციით, ხაიში-საკენი-ომარიშარას საავტომობილო გზის ჭუბერი-საკენის მონაკვეთზე ზვავსაშიშროება რამდენიმე დღეა არსებობს და სავარაუდოდ კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში გაგრძელდება.

## სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო

**ქუთაისის ცენტრის რეკონსტრუქციისა და განვითარების გეგმის ფარგლებში, პირველი სარემონტო სამუშაოები უკვე დაიწყო.**

ცენტრის რეკონსტრუქცია, ისტორიული „თეთრი ხიდიდან“ დავით აღმაშენებლის მოედნამდე, 6 ქუჩის, 2 მოედნისა და 25 სხვადასხვა დანიშნულების ობიექტის მშენებლობას გულისხმობს.

პროექტი საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით ხორციელდება და მასზე 30 მილიონი ლარი უნდა დაიხარჯოს.

## ძებნილები დააკავეს

**სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა სასაზღვრო სამმართველოებში ბათუმსა და ახალციხეში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძებნილი პირები დააკავეს.**

სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ძებნილების დაკავება სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილებებზე სარფსა და ვალეზე განხორციელდა.

მათივე ცნობით, ორივე ძებნილი მესაზღვრეებმა საქართველოში შემოსვლისას დააკავეს.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

– უკაცრავად, თქვენ ქართველი ხართ?

– თუ ხელფასით ვიმსჯელებთ, კი...

* * *

ადრე გოგოები წითლდებოდნენ, როდესაც რცხვენოდათ, ახლა კი რცხვენიათ, როდესაც წითლდებიან...

* * *

თუ ქმარი ეჭვიანობს, ესე იგი, ცოლი უყვარს, თუ არ ეჭვიანობს, ესე იგი, ჯერ არაფერი იცის...



* * *

– ფედკა, რას დალევ: შამპანურს, ლუდს, ღვინოს, არაყს?

– სწორედ მაგ თანამიმდევრობით დავლევ.

* * *

ჩემოდანში ყველაზე იოლად და სასიამოვნოდ ლაგდება დოლარის შეკვრები.

* * *

– აზრზე არა ვარ, რა ვქნა. ჩემი ქმარი სულ თავის ყოფილ ცოლზე ლაპარაკობს, – ეუბნება მაშა დაქალს.

– მაგას რა უჭირს... ჩემი კი სულ მომავალ ცოლზე ლაპარაკობს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები (კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16)
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.